დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა მონიავა - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

მედეა მაქაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შპს**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200272034

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი**
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კიკეთი, 26 მაისის ქუჩა, N 13
საფოსტო ინდექსი	**0114**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.kiketischool.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**kiketischool@yahoo.com** kiketischool@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577 148 148**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება N MES 2 26 0000437249, 15/04/2026.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 14 და 15 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კიკეთი, 26 მაისის ქუჩა, N 13 სამი შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კიკეთი, 26 მაისის ქუჩა, N 13 სამი შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კიკეთი, 26 მაისის ქუჩა, N 13 სამი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ასევე ჩატარდა ონლაინ სამუშაო შეხვედრები ვიზიტის პროცესისა და გასაუბრებების განრიგის დასაზუსტებლად. ექსპერტების მიერ დამატებითაც იყო გამოითხოვილი შესაბამისი მასალები.

შეფასების პროცესი განხორციელდა როგორც ადგილზე ვიზიტის, ისე დისტანციური ჩართულობის ფორმატში. ვიზიტი წარიმართა საქმიან, მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის ინფრასტრუქტურა, გარემო და დოკუმენტაცია, ასევე ჩატარდა გასაუბრებები დირექციის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
260	156	*260*

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის ერთ-ერთ წარმატებულ პრაქტიკას წარმოადგენს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემა, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობებისა და პროფესიული მისწრაფებების გაცნობიერებასა და მომავალი კარიერული გზის დაგეგმვაში.

კარიერული განათლება ინტეგრირებულია სადამრიგებლო პროგრამასა და სასიცოცხლო უნარების განვითარების მიმართულებაში. ამ პროცესში მოსწავლეები ავითარებენ თვითშემეცნების, კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, გადაწყვეტილების მიღებისა და პასუხისმგებლობის უნარებს, რაც მათ პროფესიული თვითგამორკვევისა და პიროვნული განვითარების პროცესში ეხმარება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტული სწავლება, რომლის ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა პროფესიულ როლს, საქმიანობის სპეციფიკასა და რეალურ სამუშაო პროცესებს. ეს გამოცდილება მათ საშუალებას აძლევს პრაქტიკაში მოსინჯონ საკუთარი შესაძლებლობები და ინტერესები.

სკოლის ძლიერი მხარეა მშობლებისა და სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების აქტიური ჩართულობა. მოსწავლეები ხვდებიან პროფესიის წარმომადგენლებს, ეცნობიან მათ გამოცდილებას და იღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას მომავალი პროფესიული არჩევანისთვის.

მნიშვნელოვანი პრაქტიკაა ასევე კარიერული ინტერესების პერიოდული კვლევა. სპეციალური კითხვარების საშუალებით ხდება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესწავლა, რის საფუძველზეც იგეგმება შესაბამისი აქტივობები და შეხვედრები.

სკოლის გამოცდილება აჩვენებს, რომ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლობა ქმნის ეფექტიან სისტემას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინფორმირებულ, გააზრებულ და პასუხისმგებლიან პროფესიულ არჩევანს. სწორედ ამიტომ კარიერული ორიენტაციის მიმართულება სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 260	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***ტექნოლოგიები:*** *ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***ტექნოლოგიები:*** *სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაოს ცნებაზე ორინეტრიებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა წარმოდგენილი დავალებისთვის.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საბაზო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საბუნებისმეტყველო:*** *ფიზიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სხვადასხვა სამიზნე ცნებები მუშავდება. ესგ-ს კონცეპტულურ ნაწილში აღნიშნული არ არის გამოკვეთილი, მაგრამ ეს იკითხება საგნობრივ სტანდარტებში. სასურველია სკოლამ აღნიშნული გაითვალისწინოს.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საშუალო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საბუნებისმეტყველო:*** *ფიზიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სხვადასხვა სამიზნე ცნებები მუშავდება. ესგ-ს კონცეპტულურ ნაწილში აღნიშნული არ არის გამოკვეთილი, მაგრამ ეს იკითხება საგნობრივ სტანდარტებში. სასურველია სკოლამ აღნიშნული გაითვალისწინოს.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული.

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილ დასკვნის პროექტში ოთხივე სტანდარტის ყველა კომონენტი სრულ შესაბამისობაში იყო, თუმცა ოთხ საგნობრივ მიმართულებაში(უცხოური ენები, სპორტი, ტექნოლოგიები, საბინებისმეტყველო მეცნიერებები) გაცემული იყო რიგი რჩევები. დასკვნის პროექტის გაცნობის შედეგად დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია შესაბამისი მტკიცებულებებით.

ექსპერტთა მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად უცხოური ენებისა და სპორტის საგნობრივმა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით რჩევების საჭიროება აღარ არის.

უცხოური ენების მიმართულეით რჩევა იყო სამივე საფეხურზე:

კომპონენტი N2.1.2.1 **უცხოური ენები:** *სასურველია, კურიკულუმსა და შემოქმედებით დავალებებში გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული სწავლების შესაბამისი აქტივობები და დავალებები.*

კომპონენტი N2.1.2.4 ***უცხოური ენები:*** *სასურველია, კურიკულუმში უფრო დეტალურად განისაზღვროს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების კონკრეტული მაგალითები, ინსტრუქციები და მათი განხორციელების პირობები.*

სპორტის მიმართულეით რჩევა იყო გაცემული:

საბაზო და საშუალო საფეხურზე *კომპონენტი N2.1.2.2.* ***სპორტი:*** *საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში ოლიმპიზმის თემის სწავლებისას სასურველია, 7–12 კლასებში არ მეორდებოდეს ერთი და იგივე საკითხები. მიზანშეწონილია საკითხების გადანაწილება ისე, რომ მოსწავლეებმა ეტაპობრივად და სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია. (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).*

საშუალო საფეხურზე *კომპონენტი N2.1.2.1.* ***სპორტი:*** *სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმში დამატებით შეტანილი იქნეს თემა მძლეოსნობა.*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ტექნოლოგიების მიმართულებით რჩევები რჩება უცვლელად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   დაწესებულების მისიაა: მეოჯახე, ზრდილი, ბედნიერი, წარმატებული, ჯანმრთელი, განათლებული, შრომისმოყვარე და პასუხისმგებელი ადამიანის აღზრდა ჩვენი ქვეყნის ქრისტიანული და ქართული ტრადიციული ოჯახური ღირებულებების საფუძველზე, საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებებისა და ტრადიციული სარწმუნოებების წარმომადგენელთა სრული პატივისცემის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების დაცვით.
   ხედვა: ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები არიან საქართველოს სახელმწიფოს საყრდენი თავიანთი წესიერებით, ერთგული ოჯახიშვილობით, არჩეული პროფესიის უზადო ცოდნითა და ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელი პატრიოტიზმით.
   სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია ისეთი მოქალაქის ფორმირებაზე, რომელიც პატივს სცემს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ღირებულებებს, აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას ოჯახის, საზოგადოების და ქვეყნის წინაშე, ერთგულია ტრადიციებისა და კულტურის, გამოირჩევა მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობით, პატრიოტიზმით, სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და ტოლერანტული დამოკიდებულებით.
   სკოლის მისია და ხედვა თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ძირითად პრინციპებთან.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**
   სკოლის მისია და ხედვა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეკოლოგიურად უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებაზე, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ხარისხიანი განათლება, განივითარონ ფიზიკური შესაძლებლობები, შეიძინონ ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც ჩამოუყალიბებთ შრომით კულტურასა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

სკოლის ფილოსოფიაში გაწერილი პრინციპები, ღირებულებები და პიროვნული განვითარების მიმართულებები ხელს უწყობს სკოლის თანამედროვე სოციოკულტურულ სივრცედ ფორმირებას. სკოლა წარმოადგენს გარემოს, სადაც თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები პარტნიორობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით თანამშრომლობენ, ერთად ქმნიან მრავალფეროვან და ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს და ამკვიდრებენ ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ კულტურას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

დაწესებულებაში შემუშავებულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N01/26-25, 01.09.2025), რომელიც განსაზღვრავს პროცესის თანამონაწილეობით განხორციელების პრინციპებსა და წესებს. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, სამუშაო ჯგუფების ფორმატში თანამშრომლობასა და დოკუმენტების პროექტების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარებას.

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით. სკოლის ადმინისტრაცია აცნობიერებს სკოლის ფილოსოფიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დაწესებულების გრძელვადიანი განვითარების პროცესში, რის საფუძველზეც 2025 წელს განხორციელდა სკოლის ფილოსოფიის რევიზია.

რევიზიის პროცესში სკოლამ უზრუნველყო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N01/27-25, 01.09.2025), რომელმაც ფილოსოფიის განახლების მიზნით კითხვარების მეშვეობით შეისწავლა სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მოსაზრებები. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად შემუშავდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების განახლებული პროექტი. დოკუმენტის განხილვის ეტაპზე პროცესში აქტიურად ჩაერთნენ სკოლის თანამშრომლები, რომლებმაც ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ფარგლებში საბოლოო სახე მისცეს ფილოსოფიის პროექტს. სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ოფიციალურად დამტკიცდა(ბრძანება N01/56-25, 05.09.2025).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში დეტალურად არის განსაზღვრული მისიის ხედვისა და ღირებულებების, სტრატეგიული გეგმის შემუშავების, რევიზიის, განხილვისა და გაზიარების ეტაპები. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს პროცესის თანამონაწილეობით წარმართვას და დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე.

სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ. ფილოსოფიის რევიზიის პროცესი წარიმართა სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომლის შემადგენლობაშიც წარმოდგენილი იყვნენ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები.

რევიზიისა და განახლებული პროექტის შემუშავებას წინ უძღოდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მიღებული მონაცემების საფუძვლიანი ანალიზი, რამაც უზრუნველყო სხვადასხვა ინტერესისა და საჭიროების გათვალისწინება. შემდგომ ეტაპზე, მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი განხილულ იქნა სკოლის თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრების ფორმატში, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები.

სკოლამ ასევე უზრუნველყო პროცესის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, რაც დასტურდება წარმოდგენილი კითხვარებით, შეხვედრის ოქმებით, (პერსონალის საერთო შეხვედრის ოქმი/05.09.2025)

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო და ხელმისაწვდომია. განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე https://www.kiketischool.ge/ka .

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), ხოლო მისი ოფიციალური სახელწოდებაა - „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი“, ს/კ 200272034 (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან B24142537, 12/11/2024).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები(ბრძანება N01/56-25, 05.09.2025);
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N01/26-25, 01.09.2025);
- სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N01/27-25, 01.09.2025);
- სამუშაო ჯგუფის ოქმები
- https://www.kiketischool.ge/ka
- პერსონალის საერთო შეხვედრის ოქმი (05.09.2025).
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (B24142537, 12/11/2024).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   დაწესებულებაში შემუშავებულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N01/26-25, 01.09.2025), რომელიც განსაზღვრავს პროცესის თანამონაწილეობით განხორციელების პრინციპებსა და წესებს. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის ძირითად ეტაპებს, პროცესში ჩართულ მხარეებს, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, რევიზიისა და ცვლილებების შეტანის მექანიზმებს. გარდა ამისა, მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადების პროცედურებს.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   დაწესებულების სტრატეგიული გეგმა მუშავდება შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ციკლურობას. სკოლის 2025–2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფისმიერ და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (ბრძანება N01/62-25, 12.09.2025). გეგმაში დასახულია 5 სტრატეგიული მიზანი: 1. ხარისხიანი ზოგადი განათლების უზრუნველყოფა; 2. მოსწავლის კეთილდღეობისა და ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობა; 3. დასაქმებულთა პროფესიული ზრდისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა; 4. სასკოლო გარემოსა და ინფრასტრუქტურის განვითარება; 5. სკოლის ინსტიტუციური განვითარება და საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაძლიერება.

   სკოლის სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მოიცავს სტრატეგიულ მიმართულებებსა და ამოცანებს, რომლებიც მიზნების მიღწევას ემსახურება.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (ბრძანება N01/62-25, 12.09.2025). სამუშაო ჯგუფმა სტრატეგიული განვითარების გეგმასა და

2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშზე დაყრდნობით მოამზადა 2025–2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც გაეცნო სასკოლო საზოგადოებას და განხილვის შემდეგ დამტკიცდა.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**
   სკოლის 2025–2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დეტალურად ასახავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და მათ შესაბამის აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი პროცესების მიზანმიმართულ და თანმიმდევრულ განხორციელებას. გეგმაში მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული აქტივობის შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, რაც ზრდის მართვის ეფექტიანობას და ამარტივებს პროცესის კოორდინაციას. აღნიშნული გეგმა ეყრდნობა სკოლის არსებულ შესაძლებლობებს, იგი მოიცავს კონკრეტულ, გაზომვად ინდიკატორებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და პროგრესის მონიტორინგს. დამატებით განსაზღვრულია საჭირო რესურსები - ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური, რაც ხელს უწყობს აქტივობების ეფექტიან განხორციელებას და დასახული მიზნების მიღწევას.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N01/26-25, 01.09.2025);
- 2025–2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (ბრძანება N01/62-25, 12.09.2025);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (ბრძანება N01/62-25, 12.09.2025).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია: მონიტორინგის განხორციელების წესი და პროცესზე პასუხისმგებელი პირები; მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა; მონიტორინგის განხორციელების მეთოდები. შეფასების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია: მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის წესი და ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირები; ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რეაგირების მექანიზმები და შემდგომი ქმედებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული მეთოდოლოგიის შესაბამისად გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგი. 2025-2032 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2025 წლის სექტემბერში 10.09.2025, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად მონიტორინგი უწევს ყოველ მესამე წელს, შესაბამისად 2028 წელს იგეგმება შესრულების მონიტორინგი.

ხოლო 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში წარდგენილი იქნება 2026 წლის ზაფხულში.

2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (ბრძანება N01/62-25, 12.09.2025). სამუშაო ჯგუფმა სტრატეგიული განვითარების გეგმასა და 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშზე დაყრდნობით მოამზადა 2025–2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც გაეცნო სასკოლო საზოგადოებას და განხილვის შემდეგ დამტკიცდა. აღნიშნული აქტივობების განხორციელების მიზნით სკოლის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშობდა სამუშაო ჯგუფი რომლის შემადგენლობაშიც იყვენენ, სკოლის საზოგადოების წევრები, მასწავლებლები, მშობელი, საშუალო საფეხურის მოსწავლე. 2024-2025 ს.წ. ანგარიშში აღნიშნული იყო კვლევების შესახებ ინფორმაცია, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფდა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**
   2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში წარდგენილია სკოლის ვებ გვერდზე https://www.kiketischool.ge/ka
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზს, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და გამოწვევების განსასაზღვრად. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გათვალისწინებით ხდება SWOT ანალიზი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სტრატეგიული დაგეგმვა და შესაბამისად ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N01/26-25, 01.09.2025);
- სამოქმედო გეგმის ანგარიში https://www.kiketischool.ge/ka

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სამუშაო აღწერილობები სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს დამფუძნებელს, სკოლის ადმინისტრაციულ, დამხმარე და პედაგოგიურ პერსონალს. სკოლის ადმინისტრაცია შედგება: ადმინისტრაციული დირექტორი; აკადემიური დირექტორი; ადმინისტრაციულ და საკანცელარიო საქმეთა მენეჯერი. სკოლის ადმინისტრაციული დირექტორი პასუხისმგებელია სკოლის ადმინისტრაციული მართვისა და ფინანსური საქმიანობის ეფექტიან დაგეგმვა-განხორციელებაზე, შიდა რეგულაციების შესრულებაზე, რესურსების მიზნობრივ გამოყენებასა და სასწავლო პროცესის უწყვეტ ადმინისტრაციულ მხარდაჭერაზე. სკოლის აკადემიური დირექტორი პასუხისმგებელია სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვაზე, ორგანიზებასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე. იგი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობას, უწყვეტობასა და შედეგიანობას. სკოლის დირექტორები საქმიანობას ახორციელებენ სკოლის დამფუძნებელთან და ერთმანეთთან კოორდინაციით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა დოკუმენტაციის შესაბამისად.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**
   სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ იციან საკუთარი მოვალეობები. სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, რომელიც თანდართულია შრომით ხელშეკრულებებზე. ორგანიზაციული სტრუქტურით გაწერილია ანგარიშვალდებულების სისტემა, სადაც განმარტებულია თუ ვის ექვემდებარება და ვის წინაშე არის უშუალოდ ანგარიშვალდებული საქმიანობის განხორციელებისას თითოეული თანამშრომელი. თითოეული თანამშრომელი წლის ბოლოს წარადგენს ანგარიშს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ. ფუნქციები და მოვალეობები მოიცავს სკოლაში მიმდინარე პროცესებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა
- თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები
- შრომითი ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**
   სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა (ბრძანება N10/30-25, 01.09.2025) და კონკურსის ჩატარების წესი (ბრძანება N01/19-24, 23.08.2024). ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები: კადრების მოზიდვა და შერჩევა; თანამშრომლების ადაპტაცია სამუშაო გარემოსთან; პერსონალის შეფასება; სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება და მისი ორგანიზება; თანამშრომელთა მოტივაცია; პერსონალის ინტერვენციული მართვა; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.
   სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ აღნიშნული საკითხები ეხება როგორც მასწავლებლების ასევე, სხვა ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მართვას.
   სკოლაში გარდა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებისა, დაწესებულებაში მოქმედებს შინაგანაწესი (https://www.kiketischool.ge/ka/school-documentation), რომლის მიზანია სასწავლებელში დასაქმებულ პირთა შრომითი ურთიერთობის მოწესრიგება და კონტროლი, სასწავლებელში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა, სასწავლო-სამუშაო დროის რეგულირება, სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და სხვა.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**
   ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულებას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს

ადამიანური რესურსების მოთხოვნის დროულ ანალიზსა და დაგეგმვას. სკოლა პერიოდულად აფასებს კადრების საჭიროებებს, ითვალისწინებს შიდა გადაადგილების, კადრების გადინების, საკანონმდებლო ცვლილებებისა და ახალი მიზნების გავლენას და შესაბამის რეაგირებას ახდენს როგორც შიდა რესურსების გამოყენებით, ასევე ახალი კადრების მოზიდვით.

სკოლაში დანერგილია ვაკანტური პოზიციების შევსების გამჭვირვალე პროცედურები, რომლებიც ეფუძნება სამუშაოს აღწერასა და ანალიზს, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის შერჩევას. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს ინტერვენციული მექანიზმები, რომლებიც თანამშრომლის დროებითი არყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქციების შეუფერხებელ შესრულებას უზრუნველყოფს. მასწავლებელთა დატვირთვისა და საგაკვეთილო ცხრილის დაგეგმვა ხორციელდება ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მასწავლებელთა ჩანაცვლება სასწავლო პროცესის შეფერხების გარეშე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში თანამშრომელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ქმნის საკონკურსო კომისიებს. ყველა ვაკანსიას სკოლა აცხადებს teachers.jobs.ge და hr.gov.ge -ზე, სადაც განთავსებულია როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე დასაქმებულის შერჩევის ეტაპები. საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებულია კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს კონკრეტული საკონკურსო კომისია, რაც ასახულია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს და ქმნის/აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს.

ექსპერტების მიერ შესწავლილი 2026 წელს ღია კონკურსით ჩატრებული საკონკურსო დოკუმენტაცია:

- მუდმივად მოქმედი საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება N01/53-24, 25.11.2024.
- კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის ვაკანსია https://teacherjobs.ge/95079
- საკონკურსო კომისიის ოქმი N1 17.01.2026;
- საკონკურსო კომისიის ოქმი N2 19.01.2026;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პერსონალის შერჩევის პროცედურები უზრუნველყოფს კადრების მოზიდვისა და დასაქმების ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობას. სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, აკადემიური დირექტორი, 30 მასწავლებელი (მათ შორის 1 წამყვანი , 21 უფროსი, 5 მასწავლებლის მაძიებელი, 3 მოწვეული), დამხმარე მასწავლებელი, კონსულტანტი, IT მენეჯერი, ადმინისტრაციულ და საკანცელარიო საქმეთა მენეჯერი, აღმზრდელის ასისტენტი, აღმზრდელ-პედაგოგი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, დამხმარე მასწავლებელი, დიასახლისი, სამეურნეო მენეჯერი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, სკოლის ექიმი, სოციალური მედია-მენეჯერი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მოძღვარი, მებაღე-მეეზოვე, მძღოლი.

სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებების შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვის პროცესებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გუნდური მუშაობის პრინციპს. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობების განაწილებას, დელეგირების პრინციპებს. მსგავსი ფორმატი ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობას, მრავალმხრივი ხედვების გათვალისწინებასა და მართვის ეფექტიანობის გაზრდას. სკოლაში პერიოდულად, საჭიროების შესაბამისად იქმნება სხვადასხვა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის ოქმებში ასახულია განხილული საკითხები, პასუხისმგებელი პირები და დაგეგმილი ნაბიჯები, რაც უზრუნველყოფს პროცესების დოკუმენტირებას, კონტროლსა და შემდგომი მონიტორინგის შესაძლებლობას. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის განვითარებას, პასუხისმგებლობის გაზიარებასა და ეფექტიან მენეჯმენტს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლა აფასებს თანამშრომელთა მიერ მიღწეულ წარმატებებს და მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით აქტიურად იყენებს სკოლის მიერ განსაზღვრულ წახალისების მექანიზმებს, როგორიცაა მადლობის გამოცხადება/მადლობის სიგელი, ფასიანი საჩუქრის გადაცემა, ფულადი პრემიის გაცემა, წარმატების საჯაროდ აღიარება/გაზიარება. ინფორმაცია სკოლის წარმატებების, თანამშრომლების წარმატების, მიღწევებისა და გამორჩეული აქტივობების შესახებ ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა (ბრძანება N10/30-25, 01.09.2025);
- კონკურსის ჩატარების წესი (ბრძანება N01/19-24, 23.08.2024).
- მუდმივად მოქმედი საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება N01/53-24, 25.11.2024.
- ვაკანსია https://teacherjobs.ge/95079
- საკონკურსო კომისიის ოქმები N1 17.01.2026; N2 19.01.2026
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- ბრძანება ფულადი პრემიის შესახებ (ბრძანება N02/23-25, 01.12.2025).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**
   სკოლას შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს დაწესებულების პერსონალის შეფასების წესი. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია: პერსონალმა სრულად გააცნობიეროს ის მოლოდინები, რომლებიც სკოლას აქვს მის პროფესიულ საქმიანობასთან მიმართებაში; განისაზღვროს პერსონალის პროფესიული უნარებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან; განხორციელდეს პერსონალის საქმიანობის სისტემური მონიტორინგი, რომლის მეშვეობითაც გამოვლინდება მათი ძლიერი და სუსტი (განვითარების საჭირო მქონე) მხარეები; გამოვლინდეს პერსონალის განვითრების საჭიროებები, ინდივიდუალური პოტენციალი და მოხდეს მისი სწორი მიმართულებით განვითარება; გაიზარდოს პერსონალის შრომითი მოტივაცია და სამუშაო პროცესით კმაყოფილება; გაუმჯობესდეს დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხი და შედეგიანობა; უზრუნველყოფილ იქნეს შეფასების პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და თანასწორობა ყველა თანამშრომლის მიმართ; შეფასება ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ და ყველასთვის ცნობილ კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს ობიექტურ და სანდო შედეგებს.
   აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს იმ საკითხებს რომელიც სრულად შეესაბამება დოკუმენტის მიზნებს. შესაბამისად სკოლას გააჩნია და იგი ხელმძღვანელობს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებით.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**
   სკოლა სისტემატურად იკვლევს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებებს, აფასებს მათ საქმიანობას, ახორციელებს რეფლექსიას, გამოწვევების იდენტიფიცირებასა და შედეგების ანალიზს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით სკოლა გეგმავს თანამშრომელთა მიზნობრივ პროფესიულ განვითარებას და უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი შესაძლებლობების შექმნას.
   სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმა (2025-2026სასწავლო წლის), რომელიც ითვალისწინებს ტრენინგებში მონაწილეობას, კათედრებს შორის ურთიერთდასწრებასა და გამოცდილების გაზიარებას, პროფესიულ თანამშრომლობას სხვადასხვა ორგანიზაციასთან და კვალიფიკაციის ამაღლების სხვა აქტივობებს. საჭიროების გამოვლენის ან თანამშრომლის ინიციატივის შემთხვევაში, სკოლა ხელს უწყობს მისი პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, რაც დადებითად აისახება როგორც თანამშრომლის პროფესიულ ზრდაზე, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

   დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას და განვიტარებას. სკოლაში პერიოდულად ტარდება ტრენინგები, კონსულტაციები, დისკუსიები, სამუშაო შეხვედრები. ამ მიზნებისათვის სკოლა იყენებს, როგორც შიდა ასევე გარე რესურს. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი პერიოდულად აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და მათი საჭიროებების შესაბამისად ახორციელებენ ინტერვენციებს.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

   დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გაწერილია "თანამშრომლების ადაპტაცია სამუშაო გარემოსთან". აღნიშნული დოკუმენტის შესწავლითა და გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს და აქტივობებს, კერძოდ: ახალი თანამშრომლისათვის სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება; ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა და განმარტება; თანამშრომლის ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ; სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა; სკოლის თანამშრომლებისთვის წარდგენა; დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებში. სკოლაში სტაჟიორის მიღების შემთხვევაში, განისაზღვრება მისი ხელმძღვანელი, რომელიც ეხმარება მას ადაპტაციასა და პროფესიული დახელოვნების პროცესში. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლის სამუშაო გარემოში ინტეგრაციას.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

   დაწესებულებას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრული აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების გამოვლენის, დაფიქსირებისა და წახალისების მექანიზმები. ინიციატივები იდენტიფიცირდება როგორც საჭიროებების კვლევის, დაკვირვების და შეფასების პროცესში, ასევე თანამშრომელთა უშუალო ჩართულობითა და ზეპირსიტყვიერი მიმართვებით. პერსონალის მიერ წარდგენილი განვითარების ინიციატივები განიხილება, ფასდება მათი მიზანშეწონილობა და შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფილია მათი მხარდაჭერა და განხორციელება.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის შეფასების წესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმა (2025-2026 ს.წ.);
- თანამშრომელთა შეფასების კითხვარები;
- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**
   სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია დაწესებულების შიდა შეფასების მექანიზმების დანერგვაა. წესი მიზნად ისახავს სკოლის განვითარების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, შეფასებასა და განვითარებას, აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტურად გამყარებული და განსახორციელებელი

მექანიზმები. წარმოდგენილია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლებიც ერთმანეთთან თანხვედრაშია და ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლს, რაც გულისხმობს სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს. ასევე შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირების როლსა და პასუხისმგებლობებს. გასაუბრებისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს თანმიმდევრულ ხარისხის მართვის პროცესებს, რაც მოიცავს საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებას და მუდმივ სრულყოფას. დაინტერესებული მხარეების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) მონაწილეობა უზრუნველყოფილია, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და მათზე ორიენტირებულ გარემოს შექმნას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დაწესებულების ხარისხის მართვის პოლიტიკაში გაწერილია სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესები. რომლებიც მოიცავს:

ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება; სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა.

მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა; წლიური დაგეგმვა; ხარისხის უზრუნველყოფა.

დამხმარე პროცესები: ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; ფინანსური რესურსების მართვა; საბიბლიოთეკო სერვისების მართვა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; მოსწავლის მხარდამჭერი სერვისების განხორციელება; პირველადი სამედიცინო დახმარება; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია პროცესები და მათი გამოყენება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსწავლეების, მშობლებისა და თანამშრომლების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას გასაჩივრების მექანიზმების მეშვეობით, სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს “განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი”. თითოეულ დაინტერესებულ პირს

უფლება აქვს, დადგენილი წესით გაასაჩივროს მასწავლებლის, ადმინისტრაციის ან სკოლის სხვა წარმომადგენლის ქმედება, თუ მიიჩნევს, რომ მისი უფლებები დაირღვა. საჭიროების შემთხვევაში სკოლაში საჩივრებს განიხილავს დამოუკიდებელი კომისია. საჩივრების განხილვისათვის გათვალისწინებულია კანონმდებლობითა და სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში. სკოლის მიერ გამოცემული ყველა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) შეიცავს გასაჩივრების წესის, ვადისა და შესაბამისი ორგანოს შესახებ ინფორმაციას.

საჩივრების წარდგენისა და განხილვის პროცედურები დეტალურად არის აღწერილი სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის და გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე https://www.kiketischool.ge/ka/school-documentation .

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

   დაწესებულებას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. ქსპერტების მიერ შესწავლილი იქნა სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები, სადაც დარეგულირებულია მხარეთა უფლება-მოვალეობები.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის მართვის პოლიტიკა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი https://www.kiketischool.ge/ka/school-documentation ;
- თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები;
- მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

   სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს დროულ და ეფექტიან ინფორმირებას. სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობელთა კრებები, სადაც მათ ეცნობებათ სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, შეფასების სისტემა, სასწავლო რესურსები და დაგეგმილი აქტივობები. მშობლებს შესაძლებლობა აქვთ, საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები გაუზიარონ სკოლის ადმინისტრაციას. ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის საინფორმაციო დაფების (რომელიც სკოლის სამივე შენობაშია), სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის დადგენილი წესით. უკუკავშირის მისაღებად სკოლა პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს, რომელთა შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავს გაუმჯობესების ღონისძიებებს. აღნიშნულ პროცესებს არეგულირებს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმებს.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

   სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივ კათედრები, რომლებშიც გაერთიანებული არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები, ეღტმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, განიხილავენ სასწავლო რესურსებს. მშობლები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, მუდმივად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან, იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში, გასვლით შეხვედრებში, ექსკურსიებში.

   მშობლები ჩართულები არიან შრომით (სახელობო) გაკვეთილებზე მოწვეული სტუმრობის, პროფესიული გამოცდილების გაზიარებისა და კარიერული ორიენტაციის ღონისძიებების გზით. შესაბამის შემთხვევებში, სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში, მშობლები მასპინძლობენ მოსწავლეებს თავიანთ სამუშაო გარემოში.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლის კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

- თანამშრომლის კმაყოფილების კვლევის კითხვარი;
- საგნობრივი კათედრების დებულება და სხდომის ოქმები;
- კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

   სკოლას ჰყავს უსაფრთხოების სამსახური, სკოლის მთელი ტერიტორია უზრუნველყოფილია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით (სკოლის ეზო, სპორტული მოედანი, რეკრეაციული ზონები, სამივე შენობის საერთო სარგებლობის სივრცეები) აღნიშნული სისტემის მონიტორინგს აწარმოებენ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმების წერილი N MIA 4 24 02656987, 30/08/2024).

სკოლას გაკეთებული აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ 2026 წლის 26 იანვარს. ასევე დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „მოდერნ ტექნოლოჯი 2020“-თან დამკვეთს მფლობელობაში არსებული შენობა ნაგებობაში არსებული სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის ტესტირება, შემოწმება და დაზიანებული სისტემის აღდგენის შესახებ.
დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა N007231024 (11/08/2025) შენობის ექსპლუატაციის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამივე შენობა საფრთხის შემცველი არა არის და ვარგისია ექსპლუატაციისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, შენობაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 21 მარტი 2022წ. შესაბამისად და აკმაყოფილებს ბრძანებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას.
სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ზემოთ აღნიშნული წესის მიხედვით. ასევე სკოლას დამტკიცებული აქვს ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია “შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის” უსაფრთხოების წესი (ბრძანება N01/04-26, 21/01/2026), რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან (2026 წლის 26 იანვრის MES 1 26 0000067519 წერილი).
შინაგანაწესის შესაბამისად სკოლა, საჭიროების შემთხვევაში დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები, რომელშიც ჩართულია სრულად სასკოლო საზოგადოება (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები), რაც ეხმარება სკოლას შესაძლო პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით, ადმინისტრაციასთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათთვის დროული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდების მექანიზმები. აღნიშნულ პროცესს წარმართავს სკოლის ფსიქოლოგი, რომელიც აკვირდება მოსწავლეთა ქცევასა და სასწავლო აქტივობას, საჭიროების შემთხვევაში ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და მუშაობს როგორც მოსწავლეებთან, ისე მათ მშობლებთან. ფსიქოლოგის საქმიანობა ხორციელდება აკადემიურ დირექტორთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებშიც დამრიგებლები მოსწავლეებთან მუშაობენ ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა ჯანსაღი ცხოვრების წესი, უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი გარემო, ბულინგის პრევენცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური განვითარება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები. აქვს ყველა საჭირო რესურსი სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად (შესყიდვების დოკუმენტაცია). დამლაგებლები უზრუნველყოფენ სკოლის შენობის დასუფთავებას. კოლის ექიმი აკონტროლებს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას შედგენილი განრიგის მიხდვით. აწვდის ინფორმაციას სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შპს "ხარისხის ლაბორატორიის" მიერ ჩატარებული წყლის ანალიზი, რომლითაც დასტურდება მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე უვნებლობა.

სკოლას დანერგილი აქვს HACCP სტანდარტი. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. აღნიშნული მოთხოვნების დაცვის მიზნით, კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფი, პერიოდულად ახორციელებს სკოლის სასადილოს მონიტორინგს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით. ასევე სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (ხელშეკრულება N5/18-25, 01.08.2025. შპს „დატაპრო“), რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას, მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

https://pdp.sao.ge/ka/content/1012/9076/Sps-%E2%80%9Eiakob-gogebaSvilis-saxelobis-saswavlebeli%E2%80%9C---s-n-200272034-.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

კონფიდენციალურობის პოლიტიკასა და ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესში, რომელიც დამტკიცებულია სკოლის მიერ დეტალურადაა განსაზღვრული, თუ რა სახის პერსონალური მონაცემების დამუშავებას ახორციელებს სკოლა. ასევე, სკოლას გააჩნია დამატებითი დაცვის მექანიზმები. მაგალითად, „ლოგირების სისტემა“, თითოეული პირისათვის რომელიც სარგებლობს ელეტრონული ჟურნალით, ელექტრონული ბაზით (school.emis.ge) შექმნილია დამოუკიდებელი მომხმარებელი და პაროლი. სკოლის ტერიტორიაზე გამოკრულია ვიდეო მეთვალყურეობასთან დაკავშირებით სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნები. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა იღებს ტექნიკურ ზომებს პერსონალური მონაცემების შენიღბვისთვის/გაბუნდოვნებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლას მართავენ ადმინისტრაციული და აკადემიური დირექტორები, რომლებიც თავისი უფლებამოსილებისა და ვალდებულებების ფარგლებში ახორციელებენ მონიტორინგს სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებს, გასცემენ შესაბამის მითითებებსა და რეკომენდაციებს.

სკოლას დანერგილი აქვს ანგარიშვალდებულების სისტემა და ყოველდღიურად, საქმიანობის განხორციელების პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სკოლაში უსაფრთხოების ნორმების დაცვას, ამ მიზნით ხორციელდება პერიოდული მონიტორინგი. ასევე სკოლა პერიოდულად ატარებს სასკოლო საზოგადოების კმაყოფილების კვლევას.

რითაც სკოლა ადგენს რამდენად უსაფრთხოდ გრძნობენ სკოლაში თავს, რამდენად მისაღებია მათთვის სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებები და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოების წესი (ბრძანება N01/04-26, 21/01/2026)
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების წერილი MES 1 26 0000067519, 26/01/2026;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმების წერილი N MIA 4 24 02656987, 30/08/2024;
- სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა N007231024 (11/08/2025) შენობის ექსპლუატაციის შესახებ;
- მიწერილობა სახანძრო(26/01/2026)
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შპს "ხარისხის ლაბორატორიის" მიერ ჩატარებული წყლის ანალიზი (02/10/2025)
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა
- პერსონალურ მონაცემთა ოფიცრის შესახებ ხელშეკრულება N5/18-25, 01.08.2025. შპს „დატაპრო"
- https://pdp.sao.ge/ka/content/1012/9076/Sps-%E2%80%9Eiakob-gogebaSvilis-saxelobis-saswavlebeli%E2%80%9C---s-n-200272034-.
- კონფიდენციალურობის პოლიტიკა;
- ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   სკოლის საკუთრებაშია არასასოფლო დანიშნულების ფართი 6380 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, რომელთა საერთო ფართია 5218 კვ.მ. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილია N1, N2, N3 ოთხსართულიანი შენობები, ხოლო დანარჩენი დამხმარე ნაგებობებია (საკადასტრო კოდი: 81.01.01.578).
   სკოლას, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სარგებლობის უფლება აქვს:
   - სოფელი კიკეთი, 26 მაისის ქუჩა № 36-ზე არსებულ ფართში მდებარე 300 კვ.მ ფართის საცურაო აუზზე (საკადასტრო კოდი 81.01.99.454)
   - დაბა კოჯორი, სოფელ კიკეთში მდებარე 7150.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 81.01.02.570) განთავსებულ რაგბის მოედანზე.

   სკოლას აქვს 13 საკლასო ოთახი (270 ინდივიდუალური მერხი საფეხურების შესაბამისად), სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება, ხელოვნების კაბინეტი, ინგლისური ენის 2 კაბინეტი, სახელობო სწავლების 3 ოთახი (კერვის, კულნარიის/თექის და ხელსაქმის), კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო (ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის) ლაბორატორიები.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასუბრებით დგინდება, რომ სკოლის ინფრასტუქტურის სივრცეები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლაში არსებული ტექნიკა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია შესაბამის სივრცეებში. ეზოში მოწყობილია რეკრეაციული სივრცეები, სკოლას სამივე სართულზე აქვს ფართე დერეფნები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სახვდასხვა აქტივობებისათვის, ფორმალური თუ არაფორმალური.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომლის მიზანია დაწესებულების მისიის რეალიზაციის პროცესში მონაწილეობა და სკოლის განვითარების ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის ძირითად ამოცანას შეადგენს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფა მოსწავლეთა და პედაგოგთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო–ბიბლიოგრაფიული მომსახურების გამოყენებით. ბიბლიოთეკა ფლობს სხვადასხვა დარგის სასწავლო, სამეცნიერო–პოპულარულ, მხატვრულ და მეთოდური შინაარსის ლიტერატურას.

სკოლა სარგებლობს ბიბლიოთეკის ელექტრონული პორტალით ლიბრარიკა https://iakobgogebashvilischool.librarika.com/

ბიბლიოთეკართან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის ბიბლიოთეკარს საქმიანობას ახორციელებს სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელიც ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება. ასევე განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი იყო 2025-2026 სასწავლო წლის I სემესტრის ანგარიში, სადც ასახული იყო ყველა ის აქტივობა შემეცნებითი თუ შემოქმედებითი, რომელიც განხორციელებული იყო ბიბლიოთეკის მუშაობის ფარგლებში.

ბიბლიოთეკის ყველა წიგნი დამუშავებულია წესის შესაბამისად, დებულება გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, პროექტორით.

ინ**დიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, არის კეთილმოწყობილი საპირფარეშოები. მოსწავლე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. სკოლაში ამ ეტაპზე არ არის შშმ მოსწავლე. თუმცა შექმნილია ადაპტირებული გარემო, რათა დაცული იყოს შშმ პირთა ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

   სკოლის მდებარეობა და ინფრასტრუქტურა ქმნის ხელსაყრელ პირობებს მისი სოციალურ-კულტურული სივრცედ განვითარებისთვის. სკოლას აქვს დიდი ეზო და რეკრეაციული ზონები, რომლებიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, თანამშრომლებისა და მშობლებისთვის. შიდა სივრცეები, მათ შორის დერეფნები, უზრუნველყოფს კომფორტულ გარემოს არაფორმალური შეხვედრებისა და ურთიერთობისთვის.

   სკოლაში რეგულარულად ტარდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული აქტივობები, კონფერენციები, შეხვედრები და სპორტული ღონისძიებები. მიმდინარე წელს განხორციელდა არაერთი პროექტი, მათ შორის შემოქმედებითი კონფერენციები, შეხვედრები და გასვლითი ღონისძიებები. მოსწავლეებსა და თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა აქტიურად ითანამშრომლონ, გაცვალონ გამოცდილება და ჩაერთონ ერთობლივ საგანმანათლებლო და სოციალურ აქტივობებში.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- https://iakobgogebashvilischool.librarika.com/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

   სკოლა უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. კომპიუტერები და ლეპტოპები განთავსებულია, როგორც კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ასევე სკოლის სხვადასხვა სასწავლო და ადმინისტრაციულ სივრცეში, რაც უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას სასწავლო პროცესისა და ყოველდღიური საქმიანობისთვის.

   სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტექნიკური ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას. უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკური მომსახურება, პროგრამული მხარდაჭერა და თანამშრომლებისთვის საჭირო დახმარების გაწევა ტექნიკური პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში. თითოეული თანამშრომელი უზრუნველყოფილია პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ტექნიკური რესურსებით.
   შედეგად, სკოლაში არსებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან, ორგანიზებულ და შეუფერხებელ განხორციელებას და სრულად პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს მოთხოვნებს.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

   სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიითა და სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური რესურსებით სასწავლო, პროფესიული და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული რესურსების ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მატერიალური რესურსების ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენების მიზნით, სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძანებაN01/54-24; 25.11.24), რომელიც განსაზღვრავს ტექნიკური რესურსებით სარგებლობის პირობებსა და პასუხისმგებლობებს. რესურსების

უსაფრთხოებისა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, დადგენილია გარკვეული შეზღუდვები. დაუშვებელია კომპიუტერულ მოწყობილობებში არსებული ფაილების წაშლა, სისტემური პარამეტრების თვითნებური შეცვლა, არალეგალური პროგრამების ინსტალაცია ან ტექნიკის გამოყენება არასაგანმანათლებლო დანიშნულებით, მათ შორის თამაშებისა და სხვა გასართობი აქტივობებისთვის.

აღნიშნული წესების დაცვა უზრუნველყოფს ტექნიკური რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მათ უსაფრთხოებასა და ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძანება N N01/54-24; 25.11.24);
- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

   სკოლას შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი (ბრძანება N 01/25-25, 01.09.25). წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციულ და საკანცელარიო საქმეთა მენეჯერი. დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით სკოლაში არსებობს შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის და ბრძანებების (რომელიც იყოფა ორ ნაწილად) სარეგისტრაციო ჟურნალები. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დგინდება რომ საქმისწარმოება დაწესებულებაში ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესის შესაბამისად,

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას kiketischool@yahoo.com. საქმისწარმოებისას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემად სკოლა იყენებს https://edudocs.ge (EduDocs - Educational Documents ხელშეკრულება 01/09/2025 შპს უნივერსსა და სკოლას შორის ლიცენზიის დროებით გადაცემის შესახებ). აღნიშნული სისტემის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლა იყენებს აღნიშნულ სისტემას ყოველდღიურობაში, ხდება ყველა ტიპის დოკუმენტის აღრიცხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

   სკოლას აქვს eSchool-ის ერთიანი ბაზა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. სკოლას აქვს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

   სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. კერძოდ, თანამშრომლობს ძველი თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, ნებართვების მოპოვების თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. აგრეთვე, რესურსცენტრს ყოველწლიურად წარუდგენს ინფორმაციას მიღებული ვაუჩერული დაფინანსების დახარჯვასთან დაკავშირებით. ასევე ყოველწლიურად ავსებს თვითშეფასების კითხვარს. შემოსული და გასული კორესპონდეციის შესწავლით დგინდება, რომ შემოსულ კორესპონდენციაზე პასუხი სკოლის მიერ გაცემულია წერილებით განსაზღვრულ ვადებში.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- EduDocs - Educational Documents ხელშეკრულება 01/09/2025 შპს უნივერსსა და სკოლას შორის ლიცენზიის დროებით გადაცემის შესახებ.

- eSchool-ის ბაზა
- საქმისწარმოების წესი (ბრძანება N 01/25-25, 01.09.25).
- kiketischool@yahoo.com

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**
   სკოლა ვებ-გვერდისა https://www.kiketischool.ge/ka და სოციალური ქსელის გვერდის https://www.facebook.com/kiketischool საშუალებით ავრცელებს ინფორმაციას განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. აღნიშნულია საინფორმაციო არხები არის ღია და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელზე წვდომაც აქვს მასწავლებლებს, მოსწავლეს, მშობელსა და ადმინისტრაციას.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**
   სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრეით დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს და იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს არსებულ ვითარებასთან შესაბამისი სკოლაში მიმდინარე პროგრამების, აქტივობებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობა ხდება WhatsApp-ში შექმნილი შექმნილი მშობელთა ჯგუფებში, ელექტრონული ფოსტით kiketischool@yahoo.com, ელექტრონული ჟურნალით, გამოკითხვებით. მიღებული ინფორმაციას სკოლას იყენებს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

   სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი https://www.kiketischool.ge/ka. ვებ-გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

   სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სავალდებულო დოკუმენტაცია: დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები; დაწესებულების სტრუქტურა; ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; ჩარიცხვის/რეგისტრაციის/საფეხურის დაძლევის/მობილობის/სტატუსის შეჩერება-შეწყვეტის მექანიზმები და პროცედურები; ინფორმაცია მოსწავლეების მხარდაჭერის სერვისების შესახებ (სხვადასხვა წრეები, კლუბები და სხვა); სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები; ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში; გასაჩივრების მექნიზმები;სკოლის ელექტრონული ბიბლიოთეკა; ელექტრონული ჟურნალი; მედიაციის მარეგულირებელი წესი; მოსწავლის ადაპტაციის წესი; მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი; სკოლის მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- https://www.kiketischool.ge/ka
- https://www.facebook.com/kiketischool
- kiketischool@yahoo.com

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**
   დოკუმენტაციის შესწავლითა და გასაურებიტ დგინდება, რომ სკოლის ფინანსური რესურსი იძლევა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. ძირითადი შემოსავალი მოსწავლეთა გადასახადია, ვაუჩერული დაფინანსება და შემოწირულობა. სკოლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს სამოქმედო სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ბიუჯეტში გათვალისწინებულია შემდეგი ასპექტები: მატერიალური რესურსები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, წახალისება, მოსწავლეთა მხარდაჭერა.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**
   სკოლის ფინანსური დაგეგმვა ეყრდნობა პროგნოზებს და საჭიროებებს. სკოლის ადმინისტრაციული დირექტორთან და ბუღალტერთან გასაუბრებით დგინდება, რომ არის შემთხვევები როდესაც საჭირო ხდება ბიუჯეტში ცვლელებების განხორციელება, რაც სიტუაციის ანალიზისა და წინა წლის გამოცდილებების გათვალისწინებით ხდება. დაწესებულება ყოველწლიურად აწარმოებას ფინანსურ ანგარიშგებას (https://www.kiketischool.ge/ka/school-documentation) . გარდა ამისა სკოლას აქვს გამოცდილება დამოუკიდებელ კერძო აუდიტის მოწვევის საგადასახადო მიმართულებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფინანსური მდგრადობის ანგარიში https://www.kiketischool.ge/ka/school-documentation

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რითაც დადგენილია მოქმედების სფერო და მიზანი, სკოლაში საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპები, განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ხარვეზის დადგენა, აცილება, განცხადების განხილვის ზოგადი წესი და ვადები, საჩივრის განხილვის ზოგადი წესი და მისი ვადები, საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმა, საჩივრის განხილვაში დაინტერესებული მხარისა და გასაჩივრებული აქტის გამომცემი ორგანოს/პირის მონაწილეობა, საჩივრთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, ვაკანსიის

შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და ა.შ. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი, აღნიშნული წესით გათვალისწინებულია მოსწავლეთა შორის მედიაციის მიზანი, მედიატორის მოვალეობები, მედიაციის დაწყების საფუძველი და მედიატორის ფუნქცია, მედიაციის ეტაპები,მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები, დისციპლინური წარმოების წესები და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასწავლებელში საჩივრის განხილვის მიზნით კომისიის შემადგენლობა. ვიზიტის დროს, მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობებს/ღონისძიებებს მათი უფლებების დაცვის მიზნით, ტარდება შეხვედრები, უფლებების დაცვის კუთხით ტარდება საჯარო ლექციები, მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას ღონისძიებებში/აქტივობებში როგორც სკოლის ფარგლებში, ასევე სხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. დოკუმენტაციის შესწავლითა და მოსწავლეებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები საჯაროა, სკოლას აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდ განთავსებული აქვს სკოლის ვებ - გვერდზე, სასკოლო სივრცეში. ვიზიტის პერიოდში მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათ სკოლა რეგულარულად აცნობს რეგულაციებს, ასევე სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები/აქტივობები. კლასის დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ ინფორმაციას. ინფორმაცია მოსწავლეებს მიეწოდება ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელითაც განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლაში ვიზიტის დროს, შერჩევითი პრინციპით შესწავლილ იქნა მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება - მოვალეობები, კონფიდენციალობა, სწავლების პროცესში წარმოშობილი ურთიერთობებისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია, ინფორმაციის მიწოდების

ვალდებულება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა, ანაზღაურება და პასუხისმგებლობა, ფორსმაჟორი, მხარეთა პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება, შინაგანაწესის გაცნობა და გასვლითი აქტივობები და ა.შ. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსით დგინდება, ის არის კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიოა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ - გვერდი https://www.kiketischool.ge/ka;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 1 სექტემბრის ბრძანება და თანდართული წესი;
- შპს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის“ მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი;
- სკოლასა და მოსწავლის მშობელს / კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული საგანამანთლებლო მომსახურების ხელშეკრულების ნიმუში;
- „შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში საჩივრის განხილვის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ სკოლის დირექტორის 2025 წლის 1 სექტემბრის ბრძანება;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის შინაგანაწესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესის შინაარსის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლის ცნება, მოსწავლის სტატუსის მოპოვება - პირველ კლასში ჩარიცხვა, სკოლაში (გარდა პირველი კლასისა)

მოსწავლის ჩარიცხვა, მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის სკოლაში ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მოპოვება, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობის უფლება, მობილობა, მობილობის დროს წარმოსადგენი დოკუმენტაცია, მოსწავლის სტატუსის შეჩერება, მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა, სტატუსის შეწყვეტა დავალიანების გამო, მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა, მოსწავლის ამორიცხვა. აღსანიშნავია, როს სკოლას წესი განთავსებული აქვს ვებ - გვერდზე, რაც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. დოკუმენტის შესწავლის თანახმად დგინდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესის შინაარსის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლის ცნება, მოსწავლის სტატუსის მოპოვება - პირველ კლასში ჩარიცხვა, სკოლაში (გარდა პირველი კლასისა) მოსწავლის ჩარიცხვა, მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის სკოლაში ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მოპოვება, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობის უფლება, მობილობა, მობილობის დროს წარმოსადგენი დოკუმენტაცია, მოსწავლის სტატუსის შეჩერება, მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა, სტატუსის შეწყვეტა დავალიანების გამო, მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა, მოსწავლის ამორიცხვა. აღნიშნული წესით რეგულირდება მოსწავლის ჩერიცხვიდან სტატუსის შეწყვეტამდე განსახორციელებელი პროცედურები. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვას, სტატუსის შეჩერებების, აღდგენის, ამორიცხვისთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები. შერჩევით პრინციპით გადამოწმდა მართვის საინფორმაციო სისტემა სადაც ფიქსირდება, რომ სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის სტატუსის განმსაზღვრელ შესაბამის პროცედურებს. სკოლის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იცავს აღნიშნული წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის ვებ - გვერდზე საჯაროდაა განთავსებული ინფორმაცია სკოლაში მოქმედი მომსახურების საახეების შესახებ. მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლაში თუ რაიონში არსებული აქტივობების, დამატებითი მომსახურების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციამ ასევე აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სპორტულ აქტივობებში, შემოქმედებით ღონისძიებებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების წრეები/კლუბები. სკოლის შენობაში, ყველასთვის

თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია მოსწავლის ქცევის წესები, გაკვეთილების ცხრილი და სხვა ინფორმაცია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის შენობაში, სკოლის ვებ - გვერდზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სკოლაში არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმაცია. სკოლაში არსებული ქცევის წესები, საგაკვეთილო ცხრილი. სკოლის ვებ - გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მოსწავლეების, სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ასევე მოსწავლეებმა, მოსწავლეთა მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლაში თუ რაიონში არსებული აქტივობების, დამატებითი მომსახურების შესახებ, კლასის დამრიგებელი, ადმინისტრაცია აქტიურად არინ ჩართული ინფორმაციის მიწოდების პროცესში. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ - გვერდი https://www.kiketischool.ge/ka;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესი;
- სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის ამორიცხვის შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის საწავლებლის მოსწავლის ადაპტაციის წესი", წესის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია, მოსწავლის მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღე, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები, რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას, დეზადაპტაციის ნიშნები, დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები. მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, როს სკოლა მოსწავლეებს ხელს უწყობს სკოლაში ეფექტურ ადაპტაციას. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოქმედი დოკუმენტით, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის საწავლებლის მოსწავლის ადაპტაციის წესით, დგინდება, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღებიდან სკოლის საშუალო საფეხურის დამლევამდე სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. დოკუმენტის შესაბამისად სკოლა, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით იყენებს

ისეთ მექანიზმებს როგორიცაა სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სკოლის დათვალიერება, თუ ბავშვის დედმამიშვილები დადიან სკოლაში მათი მაგალითების აღწერა. შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით სკოლა იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს. ასევე მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლის ადაპტაციის პროცესში აქტიურად არის ჩართული კლასის დამრიგებელი, ფსიქოლოგი, ხშირად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები/აქტივობები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეს ხელს უწყობს ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლე იღებს სათანადო მხარდაჭერას აკადემური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები; ასევე განსაზღვრულია ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები, შინ სწავლება და ა.შ. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლეთ ადაპტაციის წესი“, რომლითაც დარეგულირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი“. სასკოლო საზოგადოებამ გასაუბებისას დაადასტურა, რომ ზრუნავენ მოსწავლეთა მხარდაჭერაზე, ინფორმირებულობაზე, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობაზე, არსებული სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით ახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებსა და აქტივობებს. ასევე ექსტერნების გამოცდების შემთხვევაში გათვალისწინებულია საგნების შესაბამისი კონსულტაციები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლას დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების შესახებ ინფორმაცია. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესი. სკოლის შინაგანაწესის თანახმად განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია. სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია მოსწავლეთა კეთილდღეობისა და მხარდაჭერის სისტემების გაძლირება, რომლის აქტივობებად გათვალისწინებულია სკოლის ფსიქოლოგთან ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, სტრესის მართვის, თვითრეგულაციისა და ემოციური ინტელექტის განვითარების თემებზე ვორკშოფების ორგანიზება საჭირობების მიხედვით და ა.შ. ასევე, მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ინიციატივების მხარადჭერის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმს, მხარამჭერი ჯგუფის ფუნქციებს, ინიციატივების წარდგენის წესს, ჯგუფის შეხვედრებს, ინიციატივების მხარდაჭერის ხელშეწყობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალით დგინდება, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს ინიციატივების განხორციელებაშ, წარმოდგენილია მასალაში ინიციატივის წარდგენილის ფორმა, რომლითაც ერთ - ერთი მოსწავლის ინიციატივა იყო თანამშრომლობა საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციასთან. ასევე დართულია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დამადასტურებელი მემორანდუმი. სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია მოსწავლეთა კეთილდღეობისა და მხარდაჭერის სისტემების გაძლირება, რომლის აქტივობებად გათვალისწინებულია სკოლის ფსიქოლოგთან ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, სტრესის მართვის, თვითრეგულაციისა და ემოციური ინტელექტის განვითარების თემებზე ვორკშოფების ორგანიზება საჭირობების მიხედვით და ა.შ. დოკუმენტაციის შესწავლითა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოებამ აღნიშნა, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ხდება მომავალი პროექტების დაგეგმვა. ასევე გასაუბრებისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლა პერიოდულად ახორციელებს მოსწავლეთა ინტერესების კვლევას. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების კმაყოფილების კვლევის მიზნით. სკოლას მტკიცებულებების სახით ასევე მოწოდებული აქვს კვლევის ანალიზი, რითაც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების საჭიროებები. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე პრინციპებით. დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის საწავლებლის მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის საწავლებლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესი;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელის შინაგანაწესი;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელის მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი;
- მოსწავლის მიერ წარდგენილი ინიციატივის შევსებული ფორმა;
- სკოლასა და ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთასთან 2025 წლის 21 მაისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- მოსწავლის, მშობლის კითხვარები;
- მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარები, ანალიზი.
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწავლო წელი);
- სასკოლო სასწავლო გეგმა - კონცეპტუალური ნაწილი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**
   სკოლას შემუშავებული აქვს 2025 - 2026 სასწავლო წლის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის გეგმა. აღნიშნული გეგმის მიზანია მოსწავლეებში ხელი შეუწყოს საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარებისა და ღირებულებების გაცნობიერებას; სხვადასხვა პროფესიული სფეროს რეალურ გარემოში გაცნობით მოსწავლეებს შეუქმნას პირობები ინფორმირებული, გააზრებული და პასუხისმგებლიანი საგანმანათლებლო და პროფესიული არჩევანის გასაკეთებლად. გეგმის მიხედვით გაწერილია შესასრულებელი აქტივობები. ასევე მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ხშირად უზრუნველყოფს მოსწავლეების შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, რომლებიც საინფორმაციო შეხვედრებს ატარებენ პროფესიების და მათი მნიშვნელობის შესახებ. სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მათ შორის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. დოკუმენტაციის შეწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით

დგინდება, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მოსწავლეებმა და მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დამლევის კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ხშირად იმართება კარიერული დაგეგმვის საკითხზე გასვლითი ღონისძიებები სხვადასხვა დაწესებულებებში, სადაც მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას პროფესიების მნიშვნელობის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოებამ აღნიშნა, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ხდება მომავალი პროექტების დაგეგმვა. ასევე გასაუბრებისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლა პერიოდულად ახორციელებს მოსწავლეთა ინტერესების კვლევას. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების კმაყოფილების კვლევის მიზნით. სკოლას მტკიცებულებების სახით ასევე მოწოდებული აქვს კვლევის ანალიზი, რითაც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების საჭიროებები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებული კითხვარი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის გეგმა 2025-2026;
- კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებული კითხვარი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის სსსმ მოსწავლესათან მუშაობის მექანიზმები. დოკუმენტის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, სკოლის მიერ სსსმ მოსწავლის გამოვლენა, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა, სსსმ მოსწავლის სწავლებისათვის სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისგ ჯგუფი, ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განსახილველი საკითხები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, განხორციელება და გადახედვა, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები. დოკუმენტის დანართად გათვალისწინებულია „მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“, სკოლის მიმართვის ფორმა, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირებისა და პირველადი მართვის დოკუმენტი (მიმართვის ფორმის დანართი). ვიზიტის პერიოდისთვის სსსმ მოსწავლე სკოლაში არ ირიცხებოდა. დოკუმენტის შინაარსიდან დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის სსსმ მოსწავლესათან მუშაობის მექანიზმები. დოკუმენტის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, სკოლის მიერ სსსმ მოსწავლის გამოვლენა, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა, სსსმ მოსწავლის სწავლებისათვის სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისგ ჯგუფი, ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განსახილველი საკითხები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, განხორციელება და გადახედვა, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები. დოკუმენტის შინაარსის თანახმად, გათვალისწინებულია ისგ ჯგუფი, სადაც ჩართულია საგნის მასწავლებელი, სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, ფსიქოლოგი, სსსმ მოსწავლის ასისტენტი და სხვა სპეციალობის პერსონალი. აღსანიშნავია, რომ სსსმ მოსწავლე სკოლაში ვიზიტის ეტაპისტვის არ ირიცხებოდა. დოკუმენტაციის შინაარსის თანახმად, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის სსსმ მოსწავლესათან მუშაობის მექანიზმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა - კონცეპტუალური ნაწილი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის შესაბამისად განსაზღვრულია, რომ სკოლა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად გეგმავს დამატებით მომსახურებას და არაფორმალურ აქტივობებს. სკოლა I-XII კლასის მოსწავლეებს სთავაზობს კვებას. სასკოლო კვების ობიექტის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას აკონტროლებს შესაბამისი მონიტორინგის ჯგუფი. სკოლაში დანერგილია HACCP-ის სტანდარტი და დაცულია ყველა საჭირო პირობა მოსწავლეთა უსაფრთხოებისათვის. გარდა აღნიშნულისა, სკოლას შეთავაზებული აქვს გახანგრძლივებული სწავლებისა და ტრანსპორტირების სერვისი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სასკოლო სასწავლო გეგმით დგინდება, რომ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მიწოდების მიზნით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა არჩევით წრეებს/კლუბებს. 2025-2026 სასწავლო წელს გათვალისწინებულია დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება: STEM კლუბი. ასევე სავალდებულო არჩევითი წრეები. სასკოლო კლუბის/წრეების შექმნა ხდება მოსწავალეთა ინტერესებიდან და მიღებული უკუკავშირიდან გამომდინარე. სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად მზადაა მშობლებთან კომუნიკაციისთვის და მშობლებს შესაძლებლობა აქვთ მიმართონ პირდაპირ სკოლის დირექციას თუ მათ სურთ მიიღონ კონკრეტული დამატებითი

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ინდივიდუალურ მეწარმესთან მომსახურების მიწოდების შესახებ, რომელიც მოქმედი სტანდარტების სრული დაცვით უზრუნველყოფს სასწავლო დღეებში სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა კვებით მომსახურებას. მოსწავლეები ასევე სარგებლობენ გახანგრძლივებული სწავლების სერვისით სასწავლო დღის მეორე ნახევარში, რომელიც ხორციელდება დამრიგებლის მეთვალყურეობის ქვეშ და საგნობრივი მასწავლებლების ფასილიტაციით. ასევე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და თანამშრომელთა ტრანსპორტირებას. აღნიშნული დამატებითი მომსახურებები ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით, შეთანხმებული პირობებით და ემსახურება მოსწავლეთა კეთილდღეობასა და განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება მშობელთან, მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები. სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს კვებით. კვების მომსახურე პირი დარეგისტრირებულია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. კვების რეგულირების მიზნით დანერგილია HACCP სტანდარტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსგ;
- სასაქონლო ზედნადებები;
- 2010 წლის 31 დეკემბრის პარტნიორთა კრების ოქმი;
- 2010 წლის 28 ივლისის ხელშეკრულება ავტომანქანების შესყიდვის შესახებ;
- ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან;
- 2025 წლის 3 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება კვებითი მომსახურების შესყიდვის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს „შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის კურიკულუმის შექმნის და განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო / სასკოლო კურიკულუმის დანიშნულება და მისი შემადგენლობა, ძირითადი პროცესები, სისტემის დონის რეგულაციები, რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი, პროცესში ჩართული მხარეების როლი კურიკულუმის განვითარებაში. დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის კურიკულუმის შექმნის და განვითარების მეთოდოლოგიის შინაარსის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის და საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმების შემუშავებისას სასწავლებელი ითვალისწინებს არსებულ გამოცდილებას და შესაძლებლობებს, სასკოლო საზოგადოების დაკვეთას, გარე შეფასების მექანიზმების მოთხოვნებს, განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასების შედეგებს. სასკოლო საზოგადოების დაკვეთას სასწავლებელი განსაზღვრავს გამოკითხვებისა და/ან ფოკუს ჯგუფებიდან ამოღებული ინფორმაციის საშუალებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების თანახმად, სკოლა ახორციელებს სასკოლო საზოგადოების/დაინტერესებული მხარეების პერიოდულ კმაყოფილების კვლევას, ასევე გაკვეთილზე დასწრებას, რომლის შედეგები საბოლოო ჯამში აისახება კურიკულუმში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ წარმოადგინა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის კურიკულუმის შექმნის და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის თანახმად განსაზღვრულია კურუკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში ჩართული მხარეების როლი. დოკუმენტის შინაარსის თანახმად პროცესში ჩართული აკადემიური დირექტორი, ადმინისტრაციული დირექტორი, მიმართულებების ხელმძღვანელი, მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, სკოლის ფსიქოლოგი, მშობელი კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლე. ასევე, დოკუმენტში აღწერილია თითოეული ჩართული პირის როლი და ფუნქციები. სკოლის მიერ მოწოდებული კათედრების მუშაობის ამსახველი მასალის შესაბამისად, დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად იღება მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების, ცვლილებების შეტანის/განვითარების პროცესში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითა და სკოლის მიერ მოწოდებული მტკიცებულებების შესაბამისად, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის საჯაროობა და გაზიარება უზრუნველყოფილია მრავალარხიანი კომუნიკაციის სისტემით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალით, სკოლა იყენებს დოკუმენტაციის გავრცელების სხვადასხვა ფორმებს, შეხვედრების ორგანიზებას, კომუნიკაციას სოციალური ქსელისა და ვებგვერდის საშუალებით. კათედრის სხდომებზე რეგულარულად განიხილება კურიკულუმის შექმნისა და დახვეწის პროცესი. მტკიცებულებებით დასტურება, რომ მშობლებს ეცნობებათ სასწავლო გეგმები, მიმდინარე ცვლილებები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. განხილულია კურიკულუმთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და გადაწყვეტილებები. შედეგად, კურიკულუმი არის ფართოდ გაზიარებული დოკუმენტი, რომელიც ყველა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის კურიკულუმის შექმნის და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების მუშაობის პროცესის ამსახველი მასალა;
- მოსწავლის, მშობლის კითხვარები;
- მასწავლებლების შეფასების კითხვარები და ანალიზი;
- მშობლების ჩართულობის ამსახველი ელ. ბმულები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, კურიკულუმის დაგეგმვის საფუძველია კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის მიერ ცოდნის დამოუკიდებელ კონსტრუირებაზე. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე გამოცდილება, ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მზაობა, გამოცდილება, ინტერესები და სურვილები. ასევე, ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს. ისინი უზრუნველყოფს უცხოურ ენებზე დაფუძნებული სწავლების სისტემურ, თანმიმდევრულ და გრძელვადიან პროცესს სამივე საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში, სტრუქტურული ერთეულები გამართულია. კურიკულუმის ცხრილებში მოცემულია: სავალდებულო თემები/თემატური ბლოკები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება ისეთი კომპლექსური ტიპის დავალების პირობის შემუშვებას, რომელიც აამუშვებს მოსწავლის ფანტაზიას, გამოიწვევს მოსწავლეს და ცნობისმოყვარეობით შეეცდება პროდუქტის შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილია სწავლების სამივე საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმი. კურიკულუმები მოიცავს სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის აუცილებელ კომპონენტებს - თემატურ ერთეულებს, სამიზნე ცნებებს, შემოქმედებით დავალებებს, შეფასების ფორმებსა და რესურსებს. კურიკულუმებში მკაფიოდ იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა და საფეხურებს შორის თანმიმდევრული განვითარება. წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმების სტრუქტურა ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის

	მიზნობრივი დაგეგმვისა და განვითარებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებსა და პრინციპებს, ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და უზრუნველყოფს მასზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. წარმოდგენილი კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული სასწავლებლის მიერ წარმოდგენილ ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმში გაწერილ თემებში: სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები, აგრეთვე დაგეგმილი თემის შესწავლის ეტაპები, ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და მიმართულია მათი ფიზიკური განვითარების, ორგანიზების, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების ჩამოყალიბებისკენ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია ყველა კლასში. საგნობრივი კურიკულუმი შემუშვებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მიუხედავა იმისა, რომ ყველა კლასის კურიკულუმებში არ ხდება ყველა სამიზნე ცნების დამუშავება შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** *რჩევა: ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.*

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმის სტრუქტურა საბუნებისმეტყველო საგნებში ძირითადად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემაზე, არამედ სამიზნე ცნებების გააზრებაზე. თითოეული თემა და კომპლექსური დავალება მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან შედეგებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სიღრმისეული და კონსტრუქციული ცოდნის მიღებას. ***რჩევა:*** ფიზიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სხვადასხვა სამიზნე ცნებები მუშავდება. ესგ-ს კონცეპტულურ ნაწილში აღნიშნული არ არის გამოკვეთილი, მაგრამ ეს იკითხება საგნობრივ სტანდარტებში. სასურველია სკოლამ აღნიშნული გაითვალისწინოს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის

	პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და აქტივობები, რომლებიც იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას გამოიკვათა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას. სამივე საფეხურის კურიკულუმებში სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ისინი ორიენტირებულია მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე, კულტურული ცნობიერების ამაღლებაზე, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების გაძლიერებასა და სწავლის უნარების ჩამოყალიბებაზე. საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შერჩეული თემები უზრუნველყოფს შედეგზე ორიენტირებული სწავლების ეფექტიან დაგეგმვას ყველა საფეხურზე და ხელს უწყობს ეროვნული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი, კომპლექსური ტიპის დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. სამივე საფეხურის კურიკულუმებში დაზუსტებელი იყო სავალდებულო თემისა და სამიზნე ცნებების შესაბამისობა, ინტერვიუს დროს კათედრაზე იგრძნობოდა მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, სასწავლო პროცესში გამოიყენებული შემოქმედებითი დავალებები, პროექტული სწავლება და დიფერენცირებული მიდგომა, ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებთან. თემატური

	ერთეულები, სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებები და შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ენობრივი, სააზროვნო და შემოქმედებითი კომპეტენციების განვითარებას. დაწყებითი საფეხურიდან საშუალო საფეხურამდე იკვეთება სასწავლო შედეგების თანმიმდევრული განვითარება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა უნარების ეტაპობრივ გაღრმავებასა და პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო მიზნები და აკმაყოფილებს ესგ-ს მოთხოვნებს. კურიკულუმები აგებულია ისე, რომ ემსახურება მოსწავლეებში ფუნქციურ კომპეტენტური უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის კურიკულუმის ჩარჩოში ნათლად არის ასახული სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებები. განხორციელების პროცესში განსაზღვრულია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლო ელექტრონული რესურსები. აგრეთვე დაგეგმილი თემის შესწავლის ეტაპები, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მიუხედავად იმისა რომ კლასის საგნის კურიკულუმში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება შემუშავებული კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმების ანალიზისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი ნაწილები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები წარმოადგენს მრავალფეროვან არჩევანს, რომელიც სახელმძღვანელოს ჩარჩოებს სცდება. რესურსები შერჩეულია სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრების ხელშესაწყობად. თითოეული თემის ფარგლებში გამოყენებულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამხმარე რესურსები: ვიზუალური მასალა, სტატიები და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას. ასევე, უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების ეფექტურად მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმის ფარგლებში გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. რაც დასტურდება წარმოდენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებს, მათ შორის დიგიტალურ, აუდიოვიზუალურ

	და ინტერაქტიულ მასალებს, რაც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები, (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი, რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. კათედრა თავადაც ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს და ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში. რესურსების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილია კლასების მიხედვით დამატებითი რესურსების ნუსხა, რომელიც მოიცავს ტექსტებს, ელექტრონულ ბმულებსა და სხვადასხვა დამხმარე მასალას. სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი რესურსები, რაც ქმნის მრავალფეროვან სასწავლო გარემოს და უზრუნველყოფს თემების სიღრმისეულ დამუშავებას. რესურსების მრავალფეროვნება ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის ზრდას, ტექსტებთან მრავალმხრივ მუშაობასა და სწავლის შედეგების მიღწევას სამივე საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსები უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში მოცემულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები, მათ შორის ელექტრონული რესურსები, რომლების უზრუნველყოფენ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, კურიკულუმში

	ასახულ თემებთან გაწერილი შესაბამისი სპორტული ინვენტარი, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ემსახურება კურიკულუმში ასახული თემებში სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, საინტერესო და მოსწავლეთა ინტერესზე მორგებული პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები იძლევა სწავლების დიფერენცირების შესაძლებლობას, რაც იკითხება წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და მასწავლებლებთან გასაუბრებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები,

	სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები საჭიროების შემთხვევაში ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის, რესურსისა და პროდუქტის მოდიფიცერებას. სკოლაში ამ ეტაპზე არ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე მოსწავლე, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს სრული მზაობა და კეთილგანწყობა, რომ ინკლუზიური გარემო შეუქმნან სხვადასხვა საჭიროების მქონე ნებისმიერ მოსწავლეს, ვინც აღნიშნულ სკოლაში სწავლით დაინტერესდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უცხოური ენების სწავლების პროცესში იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და განსხვავებული სწავლითი სტილები, რაც განსაკუთრებით გამოიხატება კომპლექსური დავალებებისა და პროექტული აქტივობების განხორციელებისას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული დავალებები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. სასწავლო პროცესში აუდიო-ვიდეო რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლების ხელშეწყობას,ქმნის კარგ საფუძველს ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლებისთვის.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სთავაზობენ მათთვის შესაფერის აქტივობებს, რაც პოტენციურად

	შესაძლებლობას იძლევა, თითოეულმა მოსწავლემ, საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობებით, მიაღწიოს სასწავლო შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	გასაუბრებისას მასწავლებლებმა დეტალურად აღწერეს, თუ როგორ იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს სასწავლო პროცესში. ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, წინარე ცოდნასა და ინდივიდუალურ საჭიროებებს და საჭიროების შემთხვევაში ცვლიან (ადაპტირებას ახდენენ) აქტივობებსა და დავალებებს. კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებმა იმუშაონ განსხვავებული ფორმითა და სირთულის დონით, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას და მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს რომ სწავლა სწავლების პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები.სკოლის მიერ წარმოდგენილ შემოქმედებით დავალებებში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები და საჭიროების შემთხვევაში ხდება როგორც დავალებების ისე სასწავლო პროცესის ცვლილება და მოსწავლის საჭიროებებზე ადაპტირება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული სწავლების ფორმები და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული რესურსები. ამასთან ერთად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები აქტიურად იყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებულ, მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებზე მორგებულ აქტივობებს. ადაპტირება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს მასწავლებელი საუბრობს დიფერენცირებულ მიდგომებზე კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებელს მოჰყავს

	მაგალითები თუ როგორ ითვალისწინებს და ახორციელებს დიფერენცირებულ მიდგომას კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. *ივსება მხოლოდ* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ გადმოგზავნილია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს ,რომ სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თემის ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დახვეწას და გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე

	ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კათედრაზე, წევრების ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. შემაჯამებელი წერების საშუალებით პედაგოგები აფასებენ ცნების გააზრების დონეს, რაც შესაძლებლობას იძლევა განსაზღვრონ კონკრეტული მოსწავლის საჭიროებები და შესაბამისად დაგეგმონ/გადაგეგმონ შემდგომი პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.სკოლამ წარმოადგინა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ესთეტიკის კათედრას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,კურიკულუმში შეტანილი კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების/ მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტიკური შეფასებები, შემაჯამებელი წერები, მოსწავლეთა ნამუშევრები და წერების ანალიზი ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან. შეფასების პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის შემოწმებაზე, არამედ მოსწავლეთა უნარების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ტექსტის გააზრების, კომუნიკაციისა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაზე. შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორებიცაა: მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, განმავითარებელი შეფასების გამოყენება, მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის გათვალისწინება და სწავლის პროცესის

	მხარდაჭერა. კათედრის მიერ წარმოდგენილი წერების ანალიზი და სემესტრული ანგარიშები აჩვენებს, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მოსწავლეთა მხარდაჭერისა და სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის. შეფასების პროცესი ხასიათდება გამჭვირვალობით, თანმიმდევრულობითა და ობიექტურობით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან , მიზნებთან და ამოცანებთან. წარმოდგენილია როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი რუბრიკები ორიენტირებულია თემის სამიზნე ცნებებზე და ემსახურება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება გააზრებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილი შუალედურ მიზნებთან დართული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, პედაგოგები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერ კომენტარებს. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური თვისებების და ორგანიზებულობის, თვითკონტროლის განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში შეფასების რუბრიკების გამოყენებაზე. როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს. აგალითად, სკოლის მიერ გადმოგზავნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ვიზუალურ პროგრამირებაში ითვალისწინებს

	სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს ამ რუბრიკებზე დაფუძნებით შეფასება გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. მასწავლებელი გასაუბრების დროს საუბრობს როგორ ახორციელებს განმავითარებელ შეფასებს კონკრეტული თემის შემთხვევაში, სასურველია რომ ეს პროცესი იყოს ასახული გადმოგზავნილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკაშიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაოს ცნებაზე ორინეტრიებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა წარმოდგენილი დავალებისთვის.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლის, მშობლის კითხვარი;
- მოსწავლის სემესტრული თვითშეფასების კითხვარი;
- გაკვეთილზე დასწრების ფურცელი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- მოსწავლეთა ინიციატივა;

- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- კომპლექსური დავალებები;
- შემოქმედებითი პროდუქტის ანალიზები, რეფლექსიები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;
- შემოქმედებითი ბარათები;
- სასწავლო პროექტების დოკუმენტაცია;
- ინდივიდიუალური გეგმის ნიმუშები;
- უცხოური ენების კათედრის თავმჯდომარის ანგარიში;
- დიფერენცირებული მიდგომები;
- თემატური შეფასებები;
- სემესტრული ანგარიშები;
- სადიაგნოსტიკო წერის დავალებების ნიმუშები (რუსული ენა, ინგლისური ენა);
- ურთიერთდასწრების ფორმები;
- საგნობრივი ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია;
- აქტივობების, მეთოდებისა და სტრატეგიების ჩამონათვალი (უცხოური ენები);
- ნაბიჯებად გაწერილი თემატური (ინგლისური ენა, რუსული ენა);
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ანალიზი;
- შემაჯამებელი დავალებების ტესტები-სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი-სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- დიაგნოსტიკური შეფასებები;
- ვერიფიკაციის დასკვნები სამივე საფეხურისათვის;
- დამხმარე რესურსების ნუსხა;
- გაკვეთილზე დასწრების ოქმები;
- ფოტომასალა- სპორტ დარბაზი, გარე მოედანი, სპორტული ინვენტარი, აქტივობები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია დაწესებულების მიერ დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმების საფუძველზე. ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის (საგნობრივი კათედრების ოქმები) ანალიზით დასტურდება, რომ სასწავლო თემები, მისაღწევი შედეგები და შეფასების კრიტერიუმები მეტწილად თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საბუნებისმეტყველო საგნების უმეტესი კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ აქტივობები მიმართულია მოსწავლეებში კომპლექსური და ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; წარმოდგენილი შესრულებული დავალებების პროდუქტები, მათ შორის შემოქმედებითი ნამუშევრები, ცხადყოფს, რომ სასკოლო კურიკულუმში გაწერილი დავალებები რეალურად განხორციელებულია პრაქტიკაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) სწავლების პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან.ყველა საფეხურზე განსაზღვრულია მკაფიო მიზნები, თემები და აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ენობრივი და კომუნიკაციური უნარების თანმიმდევრულ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი კურიკულუმებით, სასწავლო პროცესის შეფასების და თვითშეფასების დოკუმენტაციით დასტურდება,რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კომპლექსური ტიპის დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.კათედრის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა იდეები, სასკოლო პროექტები, ღონისძიებები. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები. წარმოდგენილია კურიკულუმის სემესტრული ანგარიში,სადაც თითოეულ კლასში დამუშავებული თემა და სამიზნე ცნებებია განხილული, იქვეა მიღებული შედეგებიის ანალიზი,გასაუმჯობესებელი ასპექტები და მიზეზები,რეკომენდაციები და შემდგომი ნაბიჯები.დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლები მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო

	პროცესის განხორციელებისას ხელს უწყობენ აქტიურ სწავლას და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები, გაკვეთილის გეგმები, კათედრის ოქმები, გაკვეთილზე დასწრებისა და ურთიერთდასწრების ოქმები, სემესტრული ანგარიშები და მოსწავლეთა ნამუშევრები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმში განსაზღვრული თემატური ერთეულები, სასწავლო მიზნები და შეფასების ფორმები რეალურად აისახება სასწავლო პრაქტიკაში. წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმები და მოსწავლეთა ნამუშევრები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სისტემურად, თანმიმდევრულად და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შესაბამისად ხდება მოდიფიცირება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ თემებში გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და საკითხებთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. რაც დასტურდება გასაუბრების დროს. ასევე მაგალითად მეოთხე კლასში მასწავლებლის მიერ გადმოგზავნილი შემოქმედებითი ტიპის დავალება ასახულია მეოთხე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და

	თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

„კურიკულუმის შექმნისა და განვიარების მეთოდოლოგიის“ მე-4 მუხლი განსაზღვრავს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის ეტაპს. სკოლის „სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის“ შესაბამისად განსაზღვრულია შინ სწავლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები, ტრანზიციის მხარამჭერი აქტივობები, პერსონალის მართვა და განვითარება და ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგეილი მტკიცებულებების თანახმად, სკოლა პერიოდულად ახორციელებს საჭიროებების კვლევას, რის საფუძველზეც ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, მაგ: სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებლების მიერ დაფიქსირებული საჭიროებების, ანალიზის ამსახველი დოკუმენტაცია, რის შესაბამისად სკოლამ განახორციელა შესაბამისი რეაგირება, მათ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რის თანახმადაც განსაზღვრულია მოსწავლის ადაპტაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები; სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალის თანახმად, მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ხარვეზების ან ახალი საჭიროებების შემთხვევაში, ხდება კურიკულუმის გადახედვა. ეს ნიშნავს, თუ სასწავლო პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს უჭირთ განსაზღვრული მიზნების განსაზღვრული საშუალებებით მიღწევა შესაძლებელია გეგმის მოდიფიცირება. სკოლის შინაგანაწესში ასახულია მშობლებთან კომუნიკაციის ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ მშობლის ან მოსწავლის ნებისმიერი დასაბუთებული მოთხოვნა (საჭიროება) დროულად მივიდეს ადმინისტრაციამდე. სკოლის მოქნილი რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე დასტურდება შემუშავებული კურიკულუმის განვითარების დინამიური მოდელით, რომელიც ითვალისწინებს რევიზიას მონიტორინგს, სკოლის მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ, რომ ყოველი ახალი გამოწვევა აისახოს შესაბამისი სამართლებრივ და საგანმანათლებლო დოკუმენტში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები.მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ აღნიშნულ რუბრიკებს იცნობენ მოსწავლეებიც, რაც ხელს უწყობს შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც კათედრაზე, ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ და რისი ცოდნა მოეთხოვებათ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად გაწერილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების სწავლების პროცესში მოქმედი შეფასების სისტემა ხასიათდება ვალიდურობით, გამჭვირვალობით, სანდოობით, ობიექტურობითა და სამართლიანობით. კათედრის მიერ წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლებიც განსხვავდება სწავლების დონეების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია, კათედრა უფრო ინტენსიურად იყოს ჩართული მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცესში, რაც დამატებით შეუწყობს ხელს სისტემის სანდოობისა და ერთგვაროვნების გაძლიერებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითშეფასების

	რუბრიკები, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ამას გარდა რუბრიკა ცხადყოფს, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაც მიზნობრივადაა განზრახული, რაც შეფასების სისტემას კიდევ უფრო ვალიდურს, ობიექტურს, გამჭირვალეს, სანდოსა და ობიექტურს ხდის. სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.ვერიფიცირება ხდება კათედრის წევრების მიერ, ხდება ურთიერთშეფასება. სკოლაში დანერგილია და თანამშრომლობითი გარემოთი დასტურდება, რომ მუშაობს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტიკური შეფასებები, შემაჯამებელი წერები, მოსწავლეთა ნამუშევრები და წერების ანალიზი ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობასა და სანდოობას. შეფასების ინსტრუმენტები შესაბამისობაშია სახელმწიფო ენის კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებთან და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შეფასებაზე. შეფასების პროცესის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია იმით, რომ მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი შეფასების კრიტერიუმებისა და მოთხოვნების შესახებ. წარმოდგენილი რუბრიკები დეტალურად აღწერს შეფასების კომპონენტებს, რაც მოსწავლეებს აძლევს მკაფიო წარმოდგენას შეფასების მოლოდინებზე. სამივე საფეხურზე შეფასების პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების თანმიმდევრულ და სამართლიან შეფასებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობასა და მოსწავლეთა აკადემიური განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რა კრიტერიუმებითა და რომელ კომპონენტებზე (გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, შედეგები) დაყრდნობით ფასდებიან მოსწავლეები. შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესზე სისტემური დაკვირვებისა და სხვადასხვა ეტაპზე შესრულებული აქტივობების საფუძველზე. მოსწავლეებს წინასწარ ეცნობებათ ფესტივალებზე მათი შედეგების შეფასების კრიტერიუმებიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლამ გადმოაგზავნა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზანს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გამართული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური შეფასების ობიექტურობასა და სანდოობას. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად განსაზღვრულია შეფასების ვერიფიკაციის არსი, ხარისხის მართვის ჯგუფი, ვერიფიკატორი კონკრეტული საგნისათვის, ვერიფიკაციის პროცესი და ა.შ. კათედრებზე დანერგილია შემაჯამებელი დავალების წინასწარი და შემდგომი გადამოწმების პრაქტიკა, რაც იძლევა ოპერატიულად მოხდეს დავალების პირობისა და რუბრიკების კორექტირება სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ვერიფიკაციის პროცესი ატარებს არა მხოლოდ მაკონტროლებელ, არამედ განვითარებაზე ორიენტირებულ ხასიათს, რაც

გამოიხატება პედაგოგებს შორის პროფესიული კონსულტაციებისა და გამოცდილების გაზიარების ფორმატში. აღნიშნული პროცედურული გამართულობა და ვერიფიკაციის ფორმების სისტემური გამოყენება ადასტურებს სკოლის მზაობას, მუდმივად აკონტროლოს და გააუმჯობესოს შეფასების ხარისხი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაკვირვების პროცესში მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, დოკუმენტებისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას დადგენილი წესით. მასწავლებლები აწარმოებენ მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასების ჩანაწერებს, ინახავენ შეფასების რუბრიკებს, დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს, გაანალიზებულ მასალებსა და ვერიფიკაციის ფორმებს. საგნობრივი კათედრების მიერ მიწოდებული დოკუმენტები და ვერიფიკაციის მექანიზმის ფუნქციონირება პრაქტიკაში ადასტურებს, რომ შეფასების მონაცემები ინახება მინიმუმ 3 წლის ვადით და საჭიროების შემთხვევაში ადვილად ხელმისაწვდომია შიდა მონიტორინგისა და განმეორებითი ანალიზისთვის. ასევე, თანამდებობრივი ინსტრუქციები მკაფიოდ განსაზღვრავს თანამშრომელთა ვალდებულებას შეინარჩუნონ დოკუმენტაცია, დაიცვან აღრიცხვისა და არქივაციის წესები და უზრუნველყონ პროცესის უწყვეტობა. ზემოაღნიშნული გარემოებები და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა სრულად იცავს შეფასების მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის სტანდარტს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შექმნის და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების მუშაობის ამსახველი მასალა;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლის, მშობლის კითხვარი;
- პროფესიული განვითარების ამსახველი მასალა;
- გაკვეთილზე დასწრების ფურცელი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- მოსწავლეთა ინიციატივა;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმები;
- კომპლექსური დავალებებები (ინგლისური ენა, რუსული ენა) შუალედური სასწავლო მიზანი;
- შემოქმედებითი პროდუქტის ანალიზები, რეფლექსიები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური;
- შემოქმედებითი ბარათები;
- ინდივიდიუალური გეგმის ნიმუშები;
- დიფერენცირებული მიდგომები;
- თემატური შეფასებები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
- სემესტრული ანგარიშები;
- სასწავლო პროექტები;
- სადიაგნოსტიკო წერის დავალებების ნიმუშები (რუსული ენა, ინგლისური ენა);
- აქტივობების, მეთოდებისა და სტრატეგიების ჩამონათვალი (უცხოური ენები);
- ნაბიჯებად გაწერილი თემატური (ინგლისური ენა, რუსული ენა);
- განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- დიაგნოსტიკური შეფასებები;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ვერიფიკაციის დასკვნები სამივე საფეხურისათვის;
- დამხმარე რესურსების ნუსხა;

- გაკვეთილზე დასწრების ოქმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტაციის რევიზიით დასტურდება, სწავლების პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსს, ვიდეო რესურსს, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს, რუკებს, პოსტერებს, პლაკატებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების მიზნების ეფექტიანად განხორციელებას. სასწავლო პროცესში ძირითად რესურსს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო დამხმარე რესურსებად გამოიყენება ციფრული, ინტერაქტიული და აუდიოვიზუალური მასალები, რომლებიც ამდიდრებს გაკვეთილის შინაარსს და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით. სახვით და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, შემოქმედებითი დავალების პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, როგორც ვიდეო ასევე აუდიო რესურსი, რაც განაპირობებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვის საშულებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სახელმწიფო ენის სწავლების პროცესში სისტემურად გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასწავლო რესურსები. წარმოდგენილია კლასების მიხედვით რესურსების ნუსხა, რომელიც მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამატებით ტექსტებს, ელექტრონულ ბმულებსა და სხვადასხვა ტიპის დამხმარე მასალას. აღნიშნული რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს თემების მრავალმხრივ და მიზნობრივ დამუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), თუმცა ასევე მითითებულია დამატებითი სახელმძღვანელოები , ასევე ელექტრონული და ვიდეო თუ აუდიო ინტერნეტრესურსებიც, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.ელექტრონული რესურსები წარმოდგენილია როგორც კურიკულუმებსი ასევე ცალკე ერთიან დოკუმენტადაა შემუშავებული კათედის მიერ, საფეხურების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებულ და კურიკულუმით ასახულ თემებში გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს და სპორტულ ინვენტარს შესაბამისი გამოყენება აქვს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით რაც დასტურდება მაგალითად, სკოლის მიერ გადმოგზავნილ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული რესურსებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა იყენებს მრავალფეროვან დამხმარე რესურსებს, რაც ასახულია სასკოლო სგანობრივ კურიკულუმებში. მათი კათედრაზე განხილვის საკითხი დასტურება კათედრის ოქმებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს ვალიდაციის წესი. სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობასა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვას.უცხოური ენების კათედრაზე აღნიშნული პროცესი განხორციელდა კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობით. რესურსები შერჩეულია თითოეული ენის ინგლისურისა და რუსულის სასწავლო საჭიროებების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ ხარისხს, მიზნობრიობასა და

	მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებზე მორგებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე.გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დამხმარე რესურსების შერჩევა და გამოყენება ხორციელდება სახელმწიფო ენის კათედრის ფარგლებში და ეფუძნება სასწავლო მიზნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. წარმოდგენილი დამატებითი ტექსტები, ელექტრონული რესურსები და თემატური მასალები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საფეხურების სპეციფიკის გათვალისწინებით. რესურსები მიზნობრივად გამოიყენება სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს როგორც საგნობრივი ცოდნის გაღრმავებას, ისე შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ კათედრა შეიმუშავებს სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსებს და ახდენს დამხმარე რესურსების ვალიდაცია /დადასტურებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესის დებულება, სკოლაში არსებული და გამოყენებული რესურსების, მათ შორის სპორტული ინვენტარის, შეფასება და ვალიდაცია ხორციელდება შესაბამის კათედრასთან თანამშრომლობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. ვალიდაცია ხდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა კურიკულუმით გათვალისწინებულ პრაქტიკულ, კვლევით კომპონენტს ახორციელებს გამართული ტექნიკური ბაზის გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორით, ინტერნეტით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც შეესაბამება როგორც მოსწავლეთა რაოდენობას, ისე სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს. სწავლება მოიცავს სხვადასხვა სახის აქტივობას, მათ შორის არაფორმალური განათლების ელემენტებს, კლუბურ მუშაობასა და პროექტულ სწავლებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ენობრივი უნარების, კომუნიკაციური კომპეტენციებისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყენებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამისთვის სკოლას გააჩნია აღჭურვილი საკლასო ოთახები შესაბამისი ინვენტარითა და ციფრული ტექნოლოგიებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებს და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო გარემო უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას, რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას. სასწავლო სივრცე და არსებული პირობები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას და ქმნის პირობებს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად სამივე საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებული გარე სპორტული მოედანი, სპორტ დარბაზი, შესაბამისი სპორტული ინვენტარი და ტექნიკური რესურსები (კომპიუტერები) საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია ინტერნეტში ჩართული 18 კომპიუტერით რაც იძლევა საშუალებას მოსწავლეთა ინდივიდუალური მუშაობის კომპიუტერებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, პროექტორები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში არსებული დოკუმენტაციის მიხედვით დადასტურდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის საკმარისი რაოდენობით, რომელთაც უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაცია. სკოლის ორგანიზაციული მოწყობის თანახმად, განსაზღვრულია დამფუძნებელის, აკადემიური მიმართულებით დირექტორის, ადმინისტრაციული მიმართულებით დირექტორის, მიმართულებების ხელმძღვანელების, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, მასწავლებლების, სკოლის ექიმის, ადმინისტრაციულ და საკანცელარიო საქმეთა მენეჯერის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერის, უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების და ა.შ პოზიციები, რაც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის, ისე სკოლაში მხარდაჭერისა და უსაფრთხო გარემოს შექმნას. თანამდებობრივი ინსტრუქციები და შრომითი ხელშეკრულებები ცხადყოფს, რომ თითოეული თანამშრომელი საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელების უწყვეტობასა და ხარისხს. აღსანიშნავია, რომ ადგილზე შემოწმდა

მასწავლებელთა და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კომპეტენცია, სერთიფიცირება და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ვაკანტური საათების შესავსებად დადგენილ კრიტერიუმებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ამონაწერი ემისის ბაზიდან;
- სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლის, მშობლის კითხვარი;
- მოსწავლის სემესტრული თვითშეფასების კითხვარი;
- გაკვეთილზე დასწრების ფურცელი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- მოსწავლეთა ინიციატივა;
- სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი;
- დამხმარე რესურსების ჩამონათვალი;
- სასწავლო პროექტების დოკუმენტაცია;
- კათედრების ოქმები;
- განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- მასწავლებელთა სემესტრული ანგარიშები;

- დიაგნოსტიკური შეფასებები;
- ვერიფიკაციის დასკვნები სამივე საფეხურისათვის;
- შემაჯამებელი წერების ნიმუშები/ანალიზის ფორმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და გულისხმობს შემდეგ ფაზებს: კურიკულუმის შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და

რევიზია. შესაბამისად, სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტის თანახმად, გათვალისწინებულია კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. სკოლის მიერ წარმოდგენილი „ვერიფიკაციის მექანიზმი" ადასტურებს, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მყარი მექანიზმი. საგნობრივი კათედრები სისტემურად ახორციელებენ შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ვალიდურობის შემოწმებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების თანხვედრას. პროცესი მოიცავს როგორც წინასწარ დაგეგმარებას, ისე შესრულებული სამუშაოების ანალიზს, რაც ხელს უწყობს შეფასების ობიექტურობისა და სანდოობის მაღალ სტანდარტს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტი. სკოლაში მონიტორინგის პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ კონტროლზე, არამედ არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და გადაჭრაზე. ვერიფიკაციის მექანიზმების თანახმად, შეფასების პროცესი სამეტაპიანია (დაგეგმვა, შეფასება, უკუკავშირი), რაც საშუალებას იძლევა, მონიტორინგისას გამოკვეთილი საჭიროებები მყისიერად აისახოს სასწავლო პროცესის კორექტირებაში. კათედრებზე მიმდინარე დისკუსიები და მიღებული ანალიტიკური მონაცემები საფუძვლად ედება დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების შერჩევას, რაც პრაქტიკაში უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთათვის მასალის გამდიდრებასა და მხარდაჭერის საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხელშეწყობას. დოკუმენტაციის ანალიზისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას / საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგისა და შეფასების პროცესები მოიაზრება არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის ინსტრუმენტად. მასწავლებლებს ეძლევათ ანალიტიკური უკუკავშირი, რომელიც ეხმარება მათ საკუთარი პრაქტიკის გაანალიზებასა და გაუმჯობესებაში. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მათ აძლევს შეხედულებას საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და უწყობს ხელს განვითარების ინდივიდუალური ტრაექტორიის დაგეგმვას. მშობლები ინფორმირებულნი

არიან სწავლის დინამიკის, შედეგებისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დახმარების გზების შესახებ. კათედრების შიდა შეხვედრები, შეფასების ვერიფიკაციის პროცესი ემსახურება სწავლების ხარისხის ამაღლებას და სკოლაში თანამშრომლობის კულტურის გაძლიერებას. ამგვარად, მონიტორინგი და შეფასება ქმნის გარემოს, სადაც ყველა სუბიექტი - მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი და ადმინისტრაცია/დამხმარე პერსონალი იღებს შესაბამის მხარდაჭერას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. სკოლა მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავს შემდეგ ნაბიჯებს რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების პროფესიულ განვითარებას, დახმარებას, მხარდაჭერას და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კათედრების მუშაობის ამსახველი მასალა;
- პროფესიული განვითარების/ხელშეწყობის მასალა;
- ანალიზი მასწავლებლის თვითშეფასება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში მოსწავლის მიღწევების შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან და კომპლექსურ წყაროებს. პედაგოგები იყენებენ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა პროექტები, პრეზენტაციები, კვლევითი სამუშაოები და და ა.შ. სკოლაში სამივე საფეხურზე ისწავლება სავალდებულო საგანი სახელობო, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა პრაქტიკული, შემოქმედებითი და შრომითი უნარების განვითარებას, პასუხისმგებლობის, თანამშრომლობისა და დამოუკიდებელი მოქმედების კულტურის ჩამოყალიბებას. საგნის ფარგლებში მოსწავლეები ეუფლებიან სხვადასხვა სახელობო საქმიანობას — კერვა, ხეზე მუშაობა, კულინარია, თექა, სკოლის ტერიტორიის მოვლა და სხვა პრაქტიკული მიმართულებები. სწავლება ხელს უწყობს

შრომისადმი სიყვარულის, შემოქმედებითი აზროვნებისა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას. აღნიშნული საგნის შეფასება ხორციელდება მოსწავლის ჩართულობის, დაუფლებული უნარებისა და ნამუშევრის ხარისხის მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსაფრთხოებას, პასუხისმგებლობას და თანამშრომლობას. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა, მოსწავლის ცოდნა შეფასდეს სხვადასხვა კონტექსტში, რაც ქმნის მისი პროგრესის სრულ სურათს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების თანახმად, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლაში მოსწავლის ცოდნისა და უნარების შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან კონტექსტებს. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ანალიზი აჩვენებს, რომ შეფასების ინსტრუმენტები მორგებულია რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებს, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ნასწავლი მასალა გამოიყენოს პრაქტიკაში. შეფასება მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ ფორმატებს, პროექტებსა და კვლევით სამუშაოებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის პოტენციალის სრულყოფილ გამოვლენას სხვადასხვა გარემოში. სკოლაში ადგილზე ვიზიტის ფარგლებში მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ შეფასების პროცესი არის გამჭვირვალე და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს. მშობლები აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები იყენებენ მრავალმხრივ მიდგომებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის დაგროვებაში, არამედ კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. სასკოლო საზოგადოებამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კომპლექსური დავალებების ფარგლებში ისინი იღებენ უკუკავშირს, რომელიც ორიენტირებულია მათ ძლიერ მხარეებზე სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლაში მოსწავლის პროგრესის შეფასება ეფუძნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან და სისტემურ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ხარისხის ობიექტურ სურათს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შეფასების პროცესი ფოკუსირებულია სამიზნე ცნებებზე, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლის ცოდნა შეფასდეს არა ფრაგმენტულად, არამედ ჰოლისტურად — ფუნქციური კონტექსტებისა და კომპლექსური დავალებების მეშვეობით. მონაცემთა შეგროვებისას პედაგოგები იყენებენ როგორც ფორმალურ (ტესტები, შემაჯამებელი დავალებები), ისე არაფორმალურ ინსტრუმენტებს, რაც ქმნის ინფორმაციულ ბაზას მოსწავლის გრძელვადიანი განვითარებისთვის. ადგილზე ვიზიტის ფარგლებში სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას დადასტურდა, რომ შეფასება ატარებს განვითარებაზე ორიენტირებულ ხასიათს. მოსწავლეებმა და მშობლებმა ინტერვიუებისას დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესში

გამოიყენება სხვადასხვა ტიპის აქტივობები, რაც თითოეულ ბავშვს აძლევს საშუალებას, მისთვის ხელსაყრელი ფორმით მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება. სასკოლო საზოგადოების წევრები კმაყოფილებას გამოხატავენ იმით, რომ შეფასება არის მრავალმხრივი და ასახავს მოსწავლის რეალურ პროგრესს დროში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

საგნობრივი კურიკულუმების ანალიზი ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი მიდგომებით, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, თეორიული ცოდნა პრაქტიკულ კონტექსტში გამოიყენოს. შეფასების ინსტრუმენტები მორგებულია საგნობრივ სპეციფიკას და ითვალისწინებს მოსწავლის მზაობას, გაართვას თავი რეალურ ცხოვრებისეულ გამოწვევებს. პედაგოგები იყენებენ შეფასების ისეთ ფორმებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციასა და სასწავლო პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას. სისტემა უზრუნველყოფს ობიექტურ უკუკავშირს, რაც მიმართულია მოსწავლის ძლიერი მხარეების გამოკვეთასა და პიროვნულ წინსვლაზე. სკოლაში არსებული მექანიზმები ქმნის საიმედო საფუძველს სწავლის ხარისხის მართვისა და თითოეული მოსწავლის პროგრესის მხარდასაჭერად. სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის კომპლექსურ განვითარებასა და ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, კვლევა, შემოქმედებითობა) რეალიზებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ესთეტიკური აღზრდის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების, საბუნებისმეტყველოს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, უცხოური ენების, ქართულის კათედრის მუშაობის პროცესის ამსახველი მასალა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის განვითარებისა და სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის ფორმირება წარმოადგენს ცოცხალ, დინამიკურ პროცესს, რომელიც ეფუძნება პედაგოგთა პროფესიულ გამოცდილებასა და მოსწავლეთა აკადემიურ საჭიროებებს. სასკოლო საზოგადოებამ აღინიშნა, რომ ყოველი ახალი კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ეყრდნობა წინა წლების პრაქტიკულ ანალიზს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებასა და ფუნქციური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვას. სარეკომენდაციო საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, კერძოდ:

- გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგები;
- მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი (შემაჯამებელი სამუშაოები, დიაგნოსტიკური დავალებები, პროექტები);
- მასწავლებელთა რეფლექსიები თემების განხორციელებაზე;
- მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირი;
- სასწავლო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება;

- სასწავლო დროის მართვასთან დაკავშირებული სირთულეები.

პედაგოგიური გუნდი აქტიურად იყენებს მონიტორინგის შედეგად მიღებულ უკუკავშირს სარეკომენდაციო პაკეტის შესაქმნელად, რაც საშუალებას იძლევა, სწავლების მეთოდები ოპერატიულად მოერგოს მოსწავლეთა ინტერესებსა და სასწავლო გამოწვევებს, რითაც დასტურდება სკოლის მზაობა, განავითაროს ხარისხზე ორიენტირებული და შედეგზე გათვლილი კურიკულუმი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია წარმოადგენს გააზრებული პედაგოგიური პრაქტიკის შედეგს, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას და სისტემურად ითვალისწინებს შიდა მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ყოველი ახალი კურიკულუმის ფორმირებისას ხდება გასული სასწავლო პერიოდის ანალიზი, რაც აისახება სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტში. პედაგოგიური გუნდი აღნიშნავს, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული მიგნებები პირდაპირ აისახება სასწავლო პროგრამების ოპტიმიზაციაში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის ვალიდურობასა და მის შესაბამისობას სკოლის რეალურ საჭიროებებთან. სკოლის „კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად კურიკულუმის დანერგვის პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში შესწავლილი დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების შესწავლისა და შეფასების გამოცდილების საფუძველზე სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყება მუშაობა მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორიდასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- „კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ესთეტიკური აღზრდის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების, საბუნებისმეტყველოს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, უცხოური ენების, ქართულის კათედრის მუშაობის პროცესის ამსახველი მასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი 22.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. მონიავა ნანა მონიავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მედეა მაქაცარია, წევრი: მ. მაქაცარია

ნინო ფსუტური, საბუნებისმეტყველო: ნ. ფსუტური

ხათუნა ჯიმშიაშვილი, საზოგადოებრივი: ხ. ჯიმშიაშვილი

ნათია კილაძე, უცხოური ენები:

ლია ციცქიშვილი, ესთეტიკური:

ნინო მარღიშვილი, ტექნოლოგიები:

თეონა შერაზადიშვილი, სახელმწიფო ენა: თ. შერაზადიშვილი

მაკა ყიფშიძე, მათემატიკა: მ. ყიფშიძე

მიხეილ გაფრინდაშვილი, სპორტი:

ნათია კურტანიძე, დაწყებითი: